Ƃ2-85-52
ეროვნული ბიბლიოთეკა
გ-769
42647

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

**LA GÉORGIE COMBATTANTE**

26 მაისი 2000 წელი - 27(45) - 26 Mai 2000

**ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია**

საქართველოს დამოუკიდებლობის 82 წლისთავი

26 მაისი........................................1
დოკუმენტაცია....................................3

ჩვენი აფხაზეთი

სოხუმის დაპყრობის მეშვიდე წელი..................5
ლიმიტური კულია: ჩვენი მიწა-წყალი.................7
აფხაზი? ეს მე ვარ! - თენგიზ მერვამიძე...........8
"ნუხლოვის ხელი" და აფხაზეთი......................9

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები...............10
"ვლადიმირ" პუტინი და ჩეჩნეთი....................10
ისტორიული ვიზიტი: გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი საქართველოში..12
ნატო - პუტინი - შევარდნაძე......................14

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

იოანე პავლე II საქართველოში.....................15
საქართველოს პარლამენტის არჩევნები...............15
ალექსანდრე სოლჟენიცინი და კავკასია..............17
1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 80 წლისთავი....18
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები................42

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

ლექსთა საყოველთაო მოგონების დღე.................47
გია ყანჩელის მუსიკა ზალცბურგში..................48
პაატა ბურჭულაძე - "მეორე შალიაპინი"............49
სიმონ ბერეჟიანი: "მგოსანი" (ლექსი)..............49

ეკონომიკური ყოფაცხოვრება

მსოფლიო ეკონომიკის სამი გიგანტი.................50
დოლარის კურსი...................................50
საშუალო საარსებო მინიმუმი საქართველოში..........50

ქართველთა ყოფა-ცხოვრება უცხოეთში

საქართველოს პრეზიდენტის "მისალმება".............51
ბატონ ა.აბაშიძის მილოცვის წერილში...............51
26 მაისი უცხოეთში...............................52
ნინოობა პარიზში.................................53
ნადი ლევილის ქართულ მამულში.....................53
[illegible]......................................55

საუკუნო იყოს ხსენება მათი

ნიკო ურუშაძის გარდაცვალება......................56
ექ. აკაკი რამიშვილის გარდაცვალება...............60

**დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მბრალი, მებრძოლი. — ნოე**

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952, Paris

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე ხელი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული საზოგადო- [illegible]

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d ' exprimer son opinion et de la propager par la parole. par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable. pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

articl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს დამოუკიდებლობის 82 წლისთავი**

# 26 მაისი

1.

გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის 82 წლისთავს!..

2.

26 მაისი არის არა მარტო ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული, ეროვნული ისევაღდგომის დღე, არამედ ამასთანავე შეჯამება იმისა თუ რა გავაკეთეთ, რა მოვიმოქმედეთ 1999 წლის 26 მაისიდან - 200 წლის 26 მაისამდე საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში ჩვენი სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განმტკიცება-გაფურჩქვნისათვის, რადგან როგორც ოლიმპიელი გოეთე ამბობს, "სიბრძნის საბოლოო შეჯამებაა: მხოლოდ ის იმსახურებს როგორც თავისუფლებას, ისე სიცოცხლეს, ვინც მათ ყოველდღიურად იპყრობს!

3.

მართალია, ჩვენმა "მესამედასელებმა", ჯერ კიდევ 1893 წლის 7 თებერვალს, როცა სამოქმედო პროგრამის დედაძარღვი განსაზღვრეს, ამგვარი "უკიდურესობა" -"მხოლოდ ის იმსახურებს როგორც თავისუფლებას ისე სიცოცხლეს, ვინ მათ ყოველდღიურად იპყრობს!" - უფრო გააჰუმანიურეს, გაადამიანურეს, როცა კრედოთ აქციეს დებულება: "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და ცალკეული პიროვნებისა", რაც "სუსტებსაც" აძლევს თავის სფეროში, რომლებსაც თავისუფლება-სიცოცხლის ყოველდღიური გაპყრობა არ შეუძლიათ. მაგრამ ამით საქმე, მოქმედება მაინც ადამიანის პიროვნულ-ეროვნული მეობის სფეროში ექცევა, რაც - თავის მხრივ - ეროვნულ-პიროვნული თვითმყოფადობის საზომია, რადგან "პირველად იყო საქმე".

4.

ამგვარი განჭვრეტით საქმენი, რომელთა შემოქმედნი,- როგორც "დალ[illegible]ბითის", ისევე "მანკიერის", ჩვენ, ქართველები, საქართველოს მოქალაქეები, მთელი ქართველი ხალხი,-მიგვითითებს, რომ საქართველო, ქართველი ერი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ურყევად დგას, რის ნიშანსვეტები გასულ წელში იყო 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები და 2000 წლის 9 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რომლებითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების თანდათანობითი აღორძინების მიმართულება განისაზღვრა, რადგან თვით პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიული გზით ჩატარდა, რაც აღიარებულ იქნა საერთაშორისო მეთვალყურეების მიერაც. ეს კი, უდავოა, დიდი წარმატებაა სამოცდაათ-წლიანი ბოლშევიკური, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის სრულიად უცხო დიქტატორული რეჟიმის ფარფაშის შემდეგ.

5.

მისასალმებელია, რომ საქართველოს ამომრჩევლებმა,-უამრავ პოლიტიკურ პარტია-ბლოკებიდან, - მხოლოდ სამი პარტია-ბლოკის დეპუტატები აირჩიეს, რაც - ერთი მხრივ - ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობას, მაგრამ - მეორე მხრივ - "შვიდ-პროცენტიანი" ბარიერა მეტად გადაჭარბებულად გვესახება თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტრადიციულ დემოკრატიული ქვეყნები "ხუთ-პრო-

ცენტიახი" ბარიერით კმაყოფილდება, რაც ჩვენ "უფრო დემოკრატიულად" გვეხახება. რაც შეეხება ბატონ ედუარდ შევარდნაძის ისევ პრეზიდენტად არჩევას, რომელმაც ხმების ოთხოც-პროცენტზე მეტი მიიღო, - უთუოთ, მისასალმებელია ეს ფაქტი, განსაკუთრებით იმიტომაც, რომ დასავლეთელი მასობრივი ინფორ-მაციის საშუალებები არაერთხელ იუწყებოდნენ, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე უფრო დიდი პატივით სარგებლობს დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, ვიდრე საქართვე-ლოში!.. როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობა უკვე დარწმუნდა, რომ, მოცემულ ისტორიულ პირობებში, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მართლა საქართველოს ღირსეული პრეზიდენტია, რომლის შემცვლელი საქართველოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე ჯერჯერობით არ ჩანს.

6.

მაგრამ, ვჯერა, "...კიდევაც დაიზრდებიან ალგეთ ლეკვები მგლისანი...", რომლე-ბიც, კონსტრუქციული პოზიციის თუ ოპოზიციის გზით, ხელს შეუწყობს საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს მოაგვარონ ჩვენი რთული პოლიტიკური, ეკო-ნომიკური, კულტურული და სოციალური პრობლემები, რომლის ცენტრია, აგრეთვე მე-7 წელიწადია, აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემები, რომელთა გასაღები მოსკოვში-კრემლშია; და ეს არის ჩვენი ყველაზე უფრო რთული პრობლემა, რომლის მოგვარებაშეუძლებელია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დაყარების გარეშე, რომლის ბაზად შეიძლება ჩაითვალოს -"ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ", რომელიც ხელმოწერილ იქნა, საქართველოს რესპუბლიკის სახელით, ედუარდ შევარდნაძისა და, რუსეთის ფედერაციის სახელით, ბორის ელცინის მიერ 1994 წლის 3 თებერვალს; მაგრამ დღემდე რატიფიცირებული არ არის რუსეთის დუმის მიერ.

7.

ამ ფაქტში კი მჟღავნდება, რომ რუსეთი, აფხაზი და ოსი თითო-ოროლა ექსტრემის-ტის ნიღბით, ცდილობს ხელყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის სტა-ტუსს.

ამდენად, საქართველოს ახალ პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტს არაფერი არ ესაჭიროებათისე, როგორც მოქნილი დიპლომატიური მოქმედება რუსეთის მიმართ, რომ რუსეთმა ბოლოს-და-ბოლოს ხელი აიღოს იმპერიული პოლიტიკის წარმო-ებაზე საქართველოს ან დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს მიმართ. ეს კი,- თავის მხრივ, - მოითხოვს იმას, რომ რუსეთმა გაიყვანოს თავისი ჯარე-ბი საქართველოდან, რის შემდეგ აფხაზი და ოსი ექსტრემისტების თარეშსაც ბოლო მოეღება აფხაზეთსა და შიდა ქართლში, სამასი-ათასი ლტოლვილი დაბრუნდება თავთავიანთ სახლკარში; და ამ გზით შესაძლებელი გახდება საქართველოს პოლიტი-კური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების გამოჯანსაღება.

7.

აი, ჩვენი უმთავრესი პრობლემები, რომლის სასწრაფო მოგვარება დგას საქართვე-ლოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის 82-ე წლისთავთან დაკავშირებით.

8.

მაშ, დიდება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!..
დიდება საქართველოს!..
დიდება ქართველ ერს!..

კარლო ისახარიძე
პარიზი, 2000 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვითონ იკისრეს თავის საკუთარი საქმეების გამგეობა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეროვნული ჰიმნი

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული
ჰიმნი 1918-21 წლებში

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის მკაცრი კონტროლი, მკიძლება, თავისთავის განწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

<u>ჟორჟ ლეფევრი, ფრანგი ისტორიკოსი</u>

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

<u>Georges Lefebre(1874-1959)</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი აფხაზეთი

## სოხუმის დაპყრობის მეშვიდე წელი

„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს ხსოვნის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია ალალებს და სტკივა სრულიად საქართველოს"

1993 - 27 სექტემბერი - 2000

### რუსეთი განაგრძობს ჩვენი აფხაზეთის ოკუპაციას

1.

უკვე მე-7 წელიწადია რუსეთი განაგრძობს საქართველოს განუყოფელი ნაწილის აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპაციას, რის შედეგად სამას-ათასზე მეტი ქართველი დევნილია საქართველოშივე და ვერ ბრუნდებიან თავთავიან სახლკარში, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების გამოჯანსაღებას.

2.

მართალია, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ივანოვმა - განაცხადა, რომ მოსკოვი ცნობს საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას და ისევ დაადასტურა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, მაგრამ - მეორე მხრივ - რუსეთის დუმა უკვე ღიათ ლაპარაკობს, რომ აფხაზეთი შეერთებულ იქნას რუსეთთან და რუსეთის პასპორტების გაცემაზეც კი არის ლაპარაკი აფხაზეთში დღესდღეობით მცხოვრებ პირებზე, რომელთაგან - სულ 90 ათას აფხაზებიდან თუ აფსუებიდან, ნახევარი თუ ცხოვრობს დღეს აფხაზეთში; ნახევარი კი დევნილებად აქციეს დიდმპყრობელ-შოვინისტებმა, როცა სამას-ათასი ქართველი განდევნეს საქართველოს ამ ძირძველი მიწიდან და აგერ უკვე მეშვიდე წელიწადია ელოდებიან თავთავიანთ სახლკარში დაბრუნებას.

3.

წარმოიდგინეთ, აფხაზმა ექსტრემისტებმა აფხაზეთის "დამოუკიდებლობაც" კი გამოაცხადეს 1999 წლის 3 ოქტომბერს "პრეზიდენტიც" კი აირჩიეს, რომლის დროს რუსეთის დუმის დეპუტატები ჩაბრძანდნენ აფხაზეთში, ე.ი. საქართველოში და "ნეიტრალური" მეთვალყურეების როლიც გადაიბარეს.

4.

რუსეთის ამგვარი ორპირი, რომ არ ვთქვათ, დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკა ისე ანებივრებს ერთი-ორიოდა აფხაზ ექსტრემისტებს, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, რის ერთ-ერთი მყვირალა ფაქტია ის, რომ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სიძნელეებში პირველ ვიოლინოზე რუსეთი უკრავს, რომელსაც თან მიყვებიან აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტები, რის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რთული მდგომარეობის ავტორებიან რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტები, რომლებიც, თავიანთი სამხედრო ბაზებით საქართველოში - გუდაუთაში, ცხინვალში, ბათუმში, ვაზიანში თუ ახალქალაქში - ყოველ ხერხს მიმართავენ შექმნან არასტაბილური მდგომარეობა საქართველოში; სხვა სიტყვებით: რუსეთი ცდილობს ისევ გაბატონდეს საქართველოზე ერთი-ორიოდა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტების დახმარებითა და ნიღბით. და ამ მდგომარეობას არც გასულ 1999 წელში, საუბედუროდ, გამოსწორება არ ეშველა, თუმცა არა ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრაქტიკული განხორციელების მიზნით.

5.

გაეროს უშიშროების საბჭომ არ სცნო 3 ოქტომბრის ე.წ.-ლი "არჩევნები" აფხაზეთში და უწოდა მას "მიუღებელი და უკანონო". არჩევნების ჩატარება აფხაზეთში შეიძლება მაშინ, ნათქვამია გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადებაში, როცა გაირკვევა ამ ტერიტორიის სტატუსი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

6.

გერმანული დიდი გაზეთ "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგში", 1999 წლის 5 ნოემბრის კომენტა-

რში აღწერილია რუსეთის "შორიდან-მმართველი" კონფლიქტი კავკასიაში,და აფხაზეთის შესახებ წერს:

"საქართველოში 1999 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში ედუარდ შევარდნაძემ ისევ გაიმარჯვა, და მას შეუძლია მტკიცეთ ხელი მიჰყოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებას."

7.

გაეროს გენერალურმა მდივანმა - კოფი ანანმა - 1999 წლის ოქტომბრის ბოლოს მოუწოდა მონაწილე მხარეებს მოაგვარონ აფხაზეთის სტატუსის საკითხი. გაეროს უშიშროების საბჭომ "მიუღებელი" უწოდა აფხაზი ექსტრემისტების მისწრაფებას კითხვის ქვეშ დააყენონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

8.

საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ - ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის უმაღლესი დონის კონფერენციის მონაწილეებს სტამბოლში, მოუწოდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისაკენ, რის შემდეგაც ამ სამიტის დასკვნით განცხადებაში განსაზღვრულია, რომ შექმნილ იქნას კომისია აფხაზეთის საკითხის მოგვარების მიზნით.

9.

გაეროს ახალი განსაკუთრებული დიპლომატი საქართველოში - დიტერ ბოდენი -, რომლის დანიშვნა ამ პოსტზე რუსეთმა გააჭიანურა, ხელმძღვანელობს გაეროს ას-კაციან სამხედრო მეთვალყურეებს, რომლებიც მეთვალყურეობას უწევს საომარი მოქმედების შეწყვეტის შეთანხმებას საქართველოს ჯარებსა და ექსტრემის-აფხაზების რაზმებს შორის.

10.

როგორც ვხედავთ, "ყველაფერი დინებაშია", მაგრამ შედეგები არ ჩანს, რომლის ყველაზე უფრო არსებითი საკითხია ლტოლვილების დაბრუნება აფხაზეთში, რომელსაც - ღიად თუ ფარულად - წინ ეღობება რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტები - იყენებენ რა ნიღბად აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ რუსეთის უშუალო მითითებების მიხედვით.

11.

რუსეთი კი, როგორც ეს გასულმა შვიდმა წელიწადმა დაგვიდასტურა, - დაინტერესებულია არა აფხაზეთის საკითხის მოგვარებით და ამით საქართველოში და კავკასიაში სტაბილური მდგომარეობის დამყარებით, არამედ - პირიქით - რუსეთი ყოველ ხერხს ხმარობს, რომ ისევ საქართველოში შეიქმნას "სტაბილური არასტაბილურობა".

12.

ამდენად, ჩვენის აზრით, აფხაზეთის საკითხი მანამდე ვერ მოგვარდება, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთს გააჩნია ოთხი სამხედრო ბაზა, რომლის მიზანია სწორედ აღნიშნული "სტაბილური არასტაბილური მდგომარეობის" ისევ შექმნა, აფხაზეთში თუ შიდა ქართლში, რომლის აღკვეთის წინაპირობად ჩვენ მიგვაჩნია რუსეთის სამხედრო ბაზების აღკვეთა საქართველოში და ამით რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან.

13.

რა თქმა უნდა, ეს მეტად რთული საკითხია, რადგან მოსკოვი ისევ ცდილობს რუსეთის პოსტბოლშევიკური იმპერიის შექმნას, რომლის დროს მთავარი შეტევა, როგორც ჩანს, კავკასიისაკენ და ამით აზერბაიჯანის ნავთობისაკენაა მიმართული, რაც - თავის მხრივ - ართულებს რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

14.

მაგრამ აქ საჭიროა დიდი, დიდი დიპლომატიური მოქნილობა, განსაკუთრებით საქართველოს მხრიდან, რადგან საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებია ის ნევრალგიური პუნქტები, საიდანაც კრემლი ცდილობს საქართველოს ისევ კრემლის კონტროლის ქვეშ მოქცევას, თუმცა ხელშეკრულება რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ, საქართველოს პარლამენტის რატიფიცირებას ვერ ელირსა და ვერც უნდა ელირსოს თუ ჩვენ არა მარტო მოსკოვთან, არამედ ყველა სახელმწიფოსთან გვსურს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება.

15.

ამისათვის კი საჭიროა რუსეთის სამხედრო ბაზების გაუქმება საქართველოში და რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, რომლის შემდეგ "აფხაზეთის" თუ "შიდა ქართლის" საკითხების მოგვარება, [illegible], ადვილი საქმეა, რადგან აფხაზ

თუ ის ექსტრემისტებს გამოეცლებათ ის ძალა, რომლითაც ეს უგუნური აფხაზი და ისი ექსტრემისტები ცდილობენ საქართველოზე, ქართველ ხალხზე გაბატონებას, და არ ესმით, რომ თვითონ ამზადებენ იმ სამარეს, რომელშიდაც მათ სწორედ ეს რუსი დიდმპყრობელ-შოვინისტები დაასამარებენ თვით აფხაზ და ის ექსტრემისტებს, რის თვალსაჩინო მაგალითია ჩეჩნეთი, რომლის ექსტრემისტები რუსეთმა ჯერ სწორ-ედ ჩვე აფხაზეთში გამოიყენა საქართველოს დასანგრევად, ხოლო შემდეგ, - რაც ჩვენ თვალწინ ხდება, - თვით ჩეჩენეთის აღგვას ცდილობენ პირისაგან მიწისა.

16.

ამიტომ რუსეთის სამხედრო ბაზების აღგვა საქართველოს ტერიტორიაზე არის ის მთავარი წინაპირობა, რომ ისევ აღდგენილ იქნას აფხაზ-ქართველთა ძმობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ჩვენს შორის, და რომლის დანგრევას

- 4 -

ცდილობს დღეს დიდმპყრობელ-შოვინისტები თითო-ოროლა აფხაზი თუ ისი ექსტრემისტების და თვით თითო-ოროლა ქართველი "კრემლის მონების" დახმარებითაც კი, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოში მუდმივად მცხოვრები ერებისა და ტომების ძმურ ცხოვრებას, რომელსაც - ვიმეორებთ კიდევ - საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2000 წლის 26 მაისი

საქართველო - ერთობა მრავალეროვნებაში

ჩ ვ ე ნ ი   ა ფ ხ ა ზ ე თ ი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული მეობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ცხიქვიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ცხოქილიკის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'".

დიმიტრი გულია
აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ტერიტორია 1918-1921 წლებში: 91 100 კვ.კმ.




საბჭოთა საქართველოს
ტერიტორია 1921-1991 წლებში: 69 700 კვ.კმ.

დამოუკიდებელი საქართველოს
ტერიტორია 1991 წლიდან: 69 700 კვ.კმ.



დიახ, მე ვარ და ყველა, ვინც ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შვილია, მისი სისხლი და ხორცია.

რა უფლება აქვს ვლადისლავ არძინბასა და მის კრიმინალურ ხროვას, გველაპარაკოს აფხაზთა სახელით, როცა წმინდა აფხაზური წარმომავლობის უძველესი გვარის უხუცეს წარმომადგენელს—ემუხვარსაც არ ინდობენ და შეუბრალებლად ხვრეტენ.

აი, ჩემი გენეალოგიური ნუსხა.

თუ არძინბა და მისი ხროვა აფხაზები არიან, საგვარეულო გერბებს არ ვთხოვთ, თავიანთი წარმომავლობის გენეალოგიური ნუსხის ფრაგმენტი მაინც წარმოადგინონ.

თენგიზ შერვაშიძე, იურისტი




გაზეთიდან "სარკმელი საქართველოსი", თებერვალი 2000 წელი, გვ. 15

გამომცემელი და რედაქტორი სახლის თავმჯდომარე ძენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "სუსლოვის ხელი" და აფხაზეთი

1.

1999 წლის 30 ოქტომბრის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია ვრცელი სტატია, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე ამბობს, რომ "დღეს საქართველოში სუსლოვის ხელის ალორძინების საფრთხეა".

2.

ამ სტატიაში შემდეგ განმარტებულია თუ რას წარმოადგენს ეს ე.წ-ლი "სუსლოვის ხელი". მიხეილ სუსლოვი(1902-1982) იყო, ასე ვთქვათ, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის და ამით სსრკ-ის კომპარტიის იდეოლოგი, რომელიც გარდაიცვალა 1982 წელს. მიხეილ სუსლოვს 80-იან წლებში გაუკეთებია "დახურული მოხსენება", რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ, რომ არ ვთქვათ, რასისტულ მრწამს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს:

3.

"კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩასასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

4.

აი, როგორ გარყვნეს დიდმპყრობელ შოვინისტებმა - საერთოდ - და მიხეილ სუსლოვმა აღნიშნულ შემთხვევაში, ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის ჰუმანიტარული რწმენა, რაც აღმაშფოთებელია განსაკუთრებით იმიტომაც, რომ დღესაც - აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს სახელმწიფოში - მოგვეპოვება არა მარტო თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტი, არამედ ქართველებიც, რომლებიც ცდილობენ რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტების უღელი ისევ დაგვადგან კისერზე!..

და რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებმა ამგვარი რასისტული ბრძოლა ქართველი ერისა და საქართველოს ძირითად სწორედ აფხაზეთში დაიწყეს და გრძელდება დღემდე, რომლის დროს "ნეიტრალური მომრიგებლის" როლსაც თვითონ რუსეთი თამაშობს!..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2000 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს, 2000 წლის 9 აპრილს, შესაფერისი გამოძახილი ჰქონდა უცხოეთშიც, რომლის მაგალითად გვსურს აღვნიშნოთ გერმანიის დიდი გაზეთის -"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" - ცნობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

"შევარდნაძე დიდი უმრავლესობით ისევ არჩეულ იქნა პრეზიდენტად"; აღნიშნული სათაურის შემდეგ გაზეთი წერს:

დიდი უმრავლესობით საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ისევ არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად შემდგომი ხუთი წლის ვადით. ხმების 97 პროცენტის დათვლის შედეგად, შევარდნაძეს ხმა მისცა ამომრჩეველთა 80,4 პროცენტმა; მისმა ერთადერთმა სერიოზულმა მოქიშპემ - ჯუმბერ პატიაშვილმა კი მიიღო ხმების მხოლოდ 16,6 პროცენტი.

ჯუმბერ პატიაშვილი და ეუთოს(ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის) მეთვალყურეები კი ლაპარაკობენ არჩევნების ნაწილობრივ გაყალბებაზე. ევროპის საბჭოს მეთვალყურეები კი არ აღნიშნავენ საარჩევნო კანონის მნიშვნელოვან დარღვევებს.

მართალია, ედუარდ შევარდნაძის გამარჯვებაზე არჩევნებში არავის ეჭვი არ ჰქონდა, მაგრამ მეთვალყურეები მაინც განცვიფრებული დარჩნენ ედუარდ შევარდნაძის მეტად დიდი ჭარბაცებით განსაკუთრებით თბილისში. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძემ მიიღო ხმების 74 პროცენტი, პატიაშვილმა კი - 19 პროცენტი.

ისევ არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ - განაცხადა რომ იგი "180 გრადუსით" შეცვლის თავის პოლიტიკას: ახლა საჭიროა "აღმოფხვრილ იქნას ქვეყანაში სიღატაკე". საქართველო განიცდის აგრეთვე ენერგიის ნაკლებობას: ამასგარდა საქართველო დგას აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" პრობლემების წინაშე, რის შედეგად 250-ათასი ლტოლვილი სიღატაკეში ცხოვრობს.

ედუარდ შევარდნაძემ ისევ დაადასტურა, არჩევნების შემდეგ, 10 აპრილს, რომ საქართველოს სურს გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი. ამავე დროს ხელი გაუწოდა მან ოპოზიციას, რომლის დროს არ გამოთქვა შესაძლებლობა, რომ ოპოზიციური ძალები ჩაბმულ იქნას ხელმძღვანელობაში. პრემიერმინისტრის თანამდებობის შექმნაზე კი შევარდნაძემ უარი განაცხადა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტი არის ამასთანავე მთავრობის თავმჯდომარე.

"ზ.ც", 11.4.2000 წელი

## "ვლადიმირ" პუტინი და ჩეჩნეთი

1.

"სამხედრო მიღწევები ჩეჩნეთში არის იმის მაგალითი თუ როგორ ხდება რუსეთში კანონიერების დამყარება", რაც გვაგონებს კა-გე-ბეს უსაშინელეს ხანას. პუტინი ჩრდილოკავკასიით კი არ შემოფარგლავს ამგვარ საშინელებას, ახლა კანონის დიქტატურის დამყარება სანკტ-პეტერბურგიდან ვლადივოსტოკამდე; და დასავლეთელი პოლიტიკური მოღვაწეები პუტინს ელოლიავებიან: რუსეთს შეუძლია ჰქონდეს ევროპის მხარდაჭერა მომავალშიაც. მაგრამ რამდენხანს კიდევ?", - აყენებს კითხვას დიდი გერმანული გაზეთი "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი".

2.

გასაკვირია აგრეთვე ის ფაქტი, რომ - გამოკითხვების შედეგად - რუსეთის მოსახლეობის 63 პროცენტი მხარს უჭერს "ვლადიმირ" პუტინის"დერჟიმორდულ"პოლიტიკას ჩეჩნეთში, რაც დაადასტურა 2000 წლის 26 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებმაც რუსეთში, რომელშიც პუტინმა მიიღო ხმების 52,6 პროცენტი და გახდა აწ უკვე რუსეთის კანონიერი პრეზიდენტი. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გენადი ზიუგანოვმა ხმების 29,3 პროცენტი მიიღო, ხოლო ლიბერალთა("იაბლოკო") კანდიდატმა მხოლოდ 5,8 პროცენტი ხმებისა, მაშინ სათქმელი ხდება, რომ რუსეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მოსახლეობა თითქმის მთლიანად მხარს უჭერს რუსეთის იმპერიის ისევ შექმნას, რაც არაფერს კარგს არ უქადის არც რუსეთსა და არც მსოფლიოს.

3.

ვიტალი ტრეტიაკოვი, გაზეთ "ნეზავისიმაია გაზეტას" მთავარი რედაქტორი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს: "პუტინისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მიზანი: რუსეთის ისევ დაბადება როგორც დიდი სახელმწიფოსა, როგორც დიდი ქვეყნისა, როგორც ნაციისა. რუსეთმა ისევ უნდა დაიკავოს ის ადგილი მსოფლიოში, რომელიც მან გააჩნდა მე-19 და მე-20 საუკუნეში. პუტინმა ეს საუკეთესოდ დაადასტურა ჩეჩნეთში. თუ ჩეჩნეთი ჩამოშორდებოდა რუსეთს, მაშინ მთელი ჩრდილოეთი კავკასია ჩამოშორდებოდა რუსეთს, და, საბოლოოდ, მთელი რუსეთი დაიშლებოდა...მაშინ, თუ გსურთ, უწოდეთ პუტინს დიქტატორი. არსებობს წმინდა დემოკრატია სადმე მსოფლიოში?", - უპასუხა ვიტალი ტრეტიაკოვმა "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" კორესპონდენტს(26.3.2000 წ.).

4.

ანდრეი პიონტკოვსკი, სტრატეგიული კვლევაძიების ინსტიტუტის დირექტორი მოსკოვში პუტინის პოლიტიკას უწოდებს "გამოდერნიზებულ სტალინიზმს" და წერს: "სტალინს იგი წააგავს; რაც შეეხება მის ბოროტების პოტენციალს. მაგრამ პუტინს არ გააჩნია პიროვნული პროფილი...მისი პოზიცია ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მიმართ უბრალოდ სტალინისტურია. მაგრამ პუტინიზმი არ იქნება კომუნისტური სისტემა. ის არის მხოლოდ ლოგიკური გაგრძელება ბანდიტური კაპიტალიზმისა, რომელიც 1991 წლიდან განვითარდა რუსეთში".

5.

"ვლადიმირ" პუტინი კი ფეხბურთითაც კი ცდილობს პოლიტიკური მრწამსის გამოვლინებას, როცა, მაგალითად, 26 მარტს, საპრეზიდენტო არჩევნებისას, დაესწრო ფეხბურთის მატჩს მოსკოვის "სპარტაკისა" და "ვლადიკავკაზის" გუნდებს შორის.

განაწამებ ჩეჩნეთს კი, როგორც ჩანს, კიდევ მეტი წამება მოელის: ჩეჩნეთში, ვარაუდობენ, დღესდღეობით ცხოვრობს მხოლოდ 350-ათასი კაცი, და დაახლოებით 93-ათასი რუსის ჯარისკაცი. "ჩვენ მოვკრით მთიანეთის რეგიონს და იქ ვაწარმოებთ ბრძოლას სპეციალური ჯარებით", - ამბობს პუტინი და დასძენს: "იქ არიან კიდევ საკმარისი მხეცები, რომლებსაც შეუძლიათ ხროვათ შეიკრიბონ და თავდასხმები განახორციელონ".

6.

წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პრეზიდენტი და აწ უკვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი - მიხეილ გორბაჩოვიც კი -, არაპირდაპირ პუტინს ეხმობა, როცა თქვა, რომ რუსეთი ისევ აღიდგენს "მის ძველ ძლიერებას" ვინც არ უნდა იყოს მისი პრეზიდენტი. თვით პუტინი კი დაახასიათა, როგორც "...ჭკვიანი, სერიოზული, თავდაბალი, ორგანიზებული" ადამიანი. რუსეთის დუმას თავჯდომარის სელეზნიოვიდან დაწყებული(კომპარტია) ყოფილ მთავრობის თავჯდომარე სტეპაშინამდე(იაბლოკო) დამთავრებული, ყველა მომხრეა პუტინისა და ამით დრომოჭმული ლოზუნგისა: "ერთი ერი - ერთი ლიდერი". თვით ისტორიკოსი როი მედვედევი კი დატყვევებულია პუტინის პიროვნებით: "...მისი სიტყვებით გაჟღენთილია მარმით, კიდევ მეტი: პუტინის დამატყვევებელი არსებით, მისი ჭკვიანური თვალებით, მისი მოსწრებული სიტყვებით, მისი სიკეთილით". თვით "ვლადიმირ" პუტინი კი, ამომრჩევლებისადმი მიმართვაში და უამრავ ბროშურებში პირდაპირ ამბობს, რომ მას სურს "ძლიერი სახელმწიფოს" შექმნა, რომ გარდალახულ იქნას რუსული პარადოქსი: "ძლიერი ქვეყანა - ღარიბი მოქალაქეები", და ღიად ამბობს: "ვინც რუსეთს შეურაცყოფას მიაყენებს, სამ დღესაც კი ვერ გადარჩება ცოცხალი!"

და, როგორც ჩანს, "ვლადიმირ" პუტინის ამგვარ მუქარას "დადებითი შედეგები" მოჰყვა, რადგან მიჯნასთან გასწორებული ჩეჩნების მეზობლებში: დაღესტანში - პუტინისათვის ხმა მიუცია ამომრჩევლების 76,4 პროცენტს; ინგუშეთში კი - 85,4 პროცენტს; და ოსები ხომ რუსეთის ყურმოჭრილი მონები იყვნენ და არიან; და საქართველოში მცხოვრები ოსების ექსტრემისტული ნაწილი რომ რუსეთის "მეხუთე კოლონა" იყო და არის, ეს ხომ ნათელია.

7.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტია, დაჯგუფება თუ პირები ახალი, პოსტბოლშევიკური იმპერიის შექმნისაკენ მიისწრაფვიან, რომლის ცრუ ყოველგვარი "ინტერნაციონალური" თეორია-ღი იდეოლოგიაც მივიწყებულია, თუმცა "კომუნისტური ინტერნაციონალიზმი" ბოლშევიკებისათვის სხვა არაფერი არ იყო თუ არა ნიღაბი, რომლის უკან იმალებოდა ხშირად რუსული დიდმპყრობელური-შოვინიზმი.

ინასარიძე კარლო
პარიზი, 2000 წლის 31 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისტორიული ვიზიტი**

გერმანიის კანცლერი, ე.ი. მთავრობის თავჯდომარე და გერმანიის ყოფილი საგარეო მინისტრი - გერჰარდ შრედერი და ჰანს-დიტრიხ გენშერი - ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს, რაც, როგორც დიდი ისტორიული მოვლენა, აღნიშნა არა მარტო საქართველოს მასობრივმა მედიუმებმა, არამედ ევროპისა და განსაკუთრებით გერმანიის მასობრივმა მედიუმებმა. როგორც შესაბამისი მაგალითი მოგვყავს აქ გერმანიის ცენტრალური და ავტორიტეტული გაზეთის -"ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის" - ცნობას ბუნდესკანცლერ გერჰარდ შრედერის ვიზიტის შესახებ საქართველოში, რომელიც აღწერილია არა მარტო საქართველოს დღევანდელი მეგობრობა, არამედ ის ფაქტიც, რომ გერმანიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს - ჰანს-დიტრიხ გენშერს მიანიჭეს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გერმანიის ბუნდესკანცლერმა სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა საქართველოს პარლამენტის წინაშე, მოუწოდა რუსეთის პრეზიდენტს - ვლადიმერ პუტინს - "ომი ჩეჩნეთში დაამთავროს".

აი, ამ ცნობის სრული შინაარსი(1.4.2000 წელი).

# Schröder appelliert an Putin: Den Krieg in Tschetschenien beenden

**„Tiefe Sorge über schwerwiegende Menschenrechtsverletzungen" / Rede in Tiflis / Genscher Ehrenbürger**

TIFLIS, 31. März (dpa/ AP/ Reuters). Bundeskanzler Schröder hat an den russischen Präsidenten Putin appelliert, den Krieg in Tschetschenien zu beenden und nach einer politischen Lösung zu suchen. „Der Gewalteinsatz der russischen Truppen im benachbarten Tschetschenien und die schwerwiegenden Menschenrechtsverletzungen erfüllen uns weiter mit tiefer Sorge", sagte er am Freitag in einer Rede vor dem georgischen Parlament in Tiflis. Das russische Vorgehen könne die Stabilität der ganzen Region gefährden. Georgien grenzt an die abtrünnige russische Kaukasus-Republik Tschetschenien.

Schröder rief die neue Führung in Moskau auf, einer dauerhaften Präsenz von Beobachtern der Organisation für Sicherheit und Zusammenarbeit in Europa (OSZE) in Tschetschenien zuzustimmen. Außerdem sollten Hilfsorganisationen ungehinderten Zugang zu dem Kriegsgebiet erhalten. Nach Schröders Worten muss unbedingt verhindert werden, dass die Kaukasus-Region mit seinen zahlreichen Bodenschätzen wie in der Vergangenheit wieder „zum Spielball der Mächte" wird. Die EU müsse an einem Stabilisierungskonzept mitwirken, um regionale Konflikte einzudämmen.

Der Kanzler ermunterte Georgien, unbeirrt am Reformkurs festzuhalten. „Ihr Land hat unter der Führung von (Präsident) Schewardnadse beachtliche Fortschritte bei der Entwicklung von Demokratie und Rechtstaat erzielt. Die Einführung der Marktwirtschaft kommt voran," sagte er vor den 235 Abgeordneten des seit 1991 wieder unabhängigen Landes. Er verurteilte separatistische Bestrebungen in den Provinzen Abchasien und Südossetien, die die innere Einheit Georgiens gefährdeten. Schröder erinnerte daran, dass Berlin sich besonders im Abchasien-Konflikt im Nordwesten Georgiens engagiere. Deutschland stelle dort das größte Kontingent zur Überwachung des Waffenstillstands nach dem Krieg von 1993. Der Deutsche Dieter Boden ist Leiter der UN-Beobachtergruppe.

Schröder sagte, Jahrhunderte der Eroberung und Unterdrückung hätten den Freiheitswillen der Georgier nicht brechen können. Im Zweiten Weltkrieg habe Georgien als Teil der von Deutschland angegriffenen Sowjetunion einen hohen Blutzoll gezahlt. „Die im Namen Deutschlands begangenen Verbrechen bleiben für uns Anlass für Trauer und Scham". Fast 40 000 Georgien-Deutsche, zumeist Nachfahren schwäbischer Einwanderer, hätten durch eine „verbrecherische Politik auf Anweisung Stalins mit Deportation und Tod bezahlt".

Mit seiner nach Europa gerichteten Politik spielt Georgien nach Schröders Ansicht eine „Vorreiter-Rolle im Süd-Kaukasus". „Sie teilen unsere Werte. Georgien ist Teil der Euro-Atlantischen-Strukturen". Auf die Ankündigung von Präsident Schewardnadse, sein Land bis 2005 in die EU und die Nato zu führen, ging der Kanzler nicht ein. (Fortsetzung Seite 2.)



*Bundeskanzler Schröder, der georgische Präsident Schewardnadse und der ehemalige Außenminister Genscher in Tiflis*

Schewardnadse sagte, er setze Hoffnungen in Putin und die neue Führung in Moskau. Er könne sich vorstellen, dass sich Russland bald in den Händen „jener Menschen befindet, die ihr Land als einen vorhersehbaren, starken, demokratischen und auf die allgemeinen menschlichen Werte orientierten Staat sehen möchten". Deutschland nannte er einen „zuverlässigen Freund". Die Wiederherstellung der Staatlichkeit Georgiens sei eng mit der deutschen Einheit verbunden. Dem ehemaligen Außenminister Genscher, der Schröder begleitete, verlieh Schewardnadse am Freitag die Ehrenbürgerwürde Georgiens. Er nannte den FDP-Politiker eine „lebende Legende unserer Zeit" und bis heute einen der populärsten Politiker in Georgien. „Ich bin glücklich, mein lieber Freund, dass ich mit Dir zusammen die große Freude der Wiedervereinigung Deiner Heimat, der Wiederherstellung der historischen Gerechtigkeit, der Feier des Sieges, der allgemeinen menschlichen Werte teilen durfte," sagte der einstige sowjetische Außenminister. Zum Abschluss des Besuchs von Schröder war ein Treffen mit dem georgischen Patriarchen Ilja II. geplant.

Der Besuch Schröders in Georgien findet zehn Tage vor der Präsidentenwahl am 9. April in Georgien, bei der Schewardnadse zur Wiederwahl antritt, statt. Laut der Ansicht deutscher Organisatoren handelt es sich bei dem Besuch um einen Schritt in den Bemühungen, zur Stabilisierung in der Kaukasusregion beizutragen. Schröder sagte Georgien Hilfsgelder in Höhe von 60 Millionen Mark zu, mit denen Investitionen in dem Kaukasus-Staat erleichtert werden sollten. Von den 60 Millionen Mark würden 40 Millionen Mark in Form langfristiger Kredite für Infrastruktur und zur Schuldentilgung bereitgestellt werden. Die restliche Summe solle direkt investiert werden.




Georgien hat eine 81 Kilometer lange gemeinsame Grenze mit Tschetschenien, weshalb die russische Führung der Regierung in Tiflis mehrfach vorgeworfen hat, sie unterstütze die tschetschenischen Rebellen. Die georgische Regierung hat derartige Vorwürfe bisher immer entschieden zurückgewiesen. Es besteht in Tiflis aber die Befürchtung, dass der Konflikt in Tschetschenien sich auf Georgien ausbreiten könnte. Zurzeit sind etwa 15 000 russische Soldaten in Georgien stationiert. An der Konferenz der Organisation für Sicherheit und Zusammenarbeit in Europa (OSZE) in Istanbul im vergangenen November unterzeichneten Vertreter beider Länder ein Protokoll, laut dem zwei der vier russischen Militärstützpunkte in Georgien bis Mitte dieses Jahres geschlossen werden sollen. Bei dem Besuch teilten die georgischen Gesprächspartner allerdings mit, dass wohl kaum mit der pünktlichen Schließung der zwei Militärbasen bis Jahresmitte zu rechnen sei.

Georgien, das nur über geringe Erdölreserven verfügt, liegt an einer strategisch wichtigen Stelle zwischen dem erdölreichen Aserbaidschan und dem Schwarzen Meer. Die Entscheidung für den Bau einer Ölleitung von Baku nach Ceyhan hat die internationale Bedeutung des kaukasischen Landes erhöht.

Frankfurter Allgemeine Zeitung Samstag, 1. April 2000, Nr. 78

## საყურადღებო ცნობა

საყურადღებო ცნობა, რომელიც გამოაქვეყნა ბუნდესკანცლერ გერჰარდ შრედერის ვიზიტის შესახებ, გერმანიის ალიარებულმა ჟურნალმა "დერ შპიგელ"-მა, თავის 2000 წლის 3 აპრილის ნომერში:

GEORGIEN

## Geheimnisvolle Visite

Mit großem Pomp und zahlreichen Ehrenbezeugungen hatte Tiflis Donnerstag voriger Woche den deutschen Bundeskanzler Gerhard Schröder begrüßt. Eine kaum weniger wichtige Visite drei Tage zuvor wurde dagegen mit dem Mantel des Schweigens umhüllt – der Besuch von CIA-Chef George Tenet. Der Direktor des US-amerikanischen Geheimdienstes war mit hochrangigen Agenturmitarbeitern in die georgische Hauptstadt gereist, um verstärkte Sicherheitsmaßnahmen für Staatschef Eduard Schewardnadse zu erörtern; von seinem Treffen mit dem Staatsoberhaupt wurde nicht einmal ein Foto veröffentlicht. Georgische Dienste warnen seit Wochen vor einem neuerlichen Attentat gegen den 72-jährigen Landesvater – noch vor der Präsidentenwahl am 9. April. Russische Beobachter allerdings vermuten einen anderen Hintergrund des geheimnisvollen Besuchs: Die CIA-Leute wollten Daten über die noch immer in Georgien stationierten russischen Truppen sammeln und womöglich einen elektronischen Abhördienst aufbauen.


DPA

*Schewardnadse, Gast*

DER SPIEGEL 14/2000

## ნატო - პუტინი - შევარდნაძე

1.

რუსეთის ახ. არჩეულმა პრეზიდენტმა და მთავრობის თავჯდომარემ - ვლადიმერ პუტინმა, "ასოშიეიტედ-პრესის" ცნობით, 5 მარტს, 2000 წელს, ინტერვიუში, სხვათა შორის, განაცხადა:

"რუსეთი არის ნაწილი ევროპული კულტურისა, და მე არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ჩემი ქვეყანა ევროპისა და მსოფლიო კულტურისაგან იზოლირებული გახდეს". შეკითხვაზე თუ შეუძლია მას წარმოიდგინოს, რომ რუსეთის გახდეს ნატოს წევრი, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა:

"ამ შესაძლებლობას მე არ გამოვთიშავ". მაგრამ რუსეთი უნდა გახდეს ნატოს თანაბარუფლებიანი პარტნიორი(ლონდონი,"ასოშიეიტედ პრეს",5.3.2000 წ.).

2.

აქ კი რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები ეხმიანება ერთმანეთს: "...ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადის ბოლოს ნატოს კარზე დავუკაკუნებთ, უფრო მძლავრად შევაღებთ ევროკავშირის კარიბჭეს. მოვწოდებ ჩემს მეგობრებს რუსეთში...რაღა დროს მსოფლიოს გაყოფაა კვლავ - ცალკე რუსეთად და ცალკე ევროპად. წარმოუდგენელია ამგვარი რამ. რუსეთის გზა თავის დროზე პეტრე დიდმა განსაზღვრა, რომელმაც თქვა: ჩვენ უნდა გავჭრათ ფანჯარა ევროპისაკენ...აქვს რუსეთს უფლება, ჩაკეტოს ეს გზა? ამით ხომ თავს გაიღარიბებს?!"

"ჩვენ,-თქვა აგრეთვე ედუარდ შევარდნაძემ - მივდივართ არა რომელიმე ქვეყნისაკენ, არამედ მსოფლიო ცივილიზაციისაკენ, რომელმაც უკვე გაგვიღო კარი. ამ გზით უნდა იაროს რუსეთმაც..."(<u>"ს.რ.,30.10.1999 წ.).</u>

3.

მაგრამ რა? - ერთი დღის შემდეგ, ვლადიმერ პუტინმა მისი წინადღის განცხადება რუსეთის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობის შესახებ, - "შეასუსტა", როგორც ამას "ბი-ბი-სის" კორესპონდენტი წერს, ქალაქ ივანოვოში, მოსკოვის ახლოს,აადა: განაცხადა:

4.

"მოსკოვის გაწევრიანება ნატოში გამოთიშულია თუ სამხედრო ორგანიზაცია ისევ ვადაწყვეტილებას უებულობს, როგორიცაა იუგოსლავიის დაბომბვა. ამას კარგ ნაბიჯად არ ვთვლით, და "ასეთ კავშირს ჩვენ არ შევუერთდებით ჩვენ", - დასძინა პუტინმა.

5.

მართალია, რუსეთი მონაწილეობას ღებულობს კოსოვოდან სერბების მიერ გახდევნილი ალბანელების თავთავიან სახლკარში დაბრუნებასა და ამ რეგიონის დაზავებაში, მაგრამ პუტინი, როგორც ჩანს, რუსეთის გენერალიტეტისა და თვით იგორ სერგეევის, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ზეგავლენის ქვეშაა, თუმცა თვით სერგეევმა განაცხადა, რომ "...ჩვენ არ ვუყურებთ ნატოს როგორც ჩვენ მტერს".

6.

ამდენად, საქართველოს, ჩვენი სამშობლოს უშიშროება მოითხოვს, რომ საქართველო გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი და, ჩვენის აზრით, ამ გზას უნდა დაადგეს რუსეთიც- გახდება იგი ნატოს სრულუფლებიანი წევრი თუ არა.

კარლო ინასარიძე
<u>პარიზი, 2000 წლის მაისი</u>

**რა უნდა ვიცოდეთ?..**

„ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე".

ილია ჭავჭავაძე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუბლიცისტიკა

## იოანეს პავლე II საქართველოში

რომის პაპა იოანეს-პავლე II 1999 წლის ნოემბერში ესტუმრა საქართველოს. თბილისის აეროდრომზე რომის პაპას შეეგებნენ საქართველოს პრეზიდენტი - ედუარდ შევარდნაძე - და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

თბილისის აეროდრომზე იოანეს პავლე II-ემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მოიგონა "ბერლინის კედლის დაცემა" ათი წლის წინათ, რაც იყო დიდი მოვლენა, და ახალი ერას დასაწყისი მრავალი ხალხის ცხოვრებაში; ამის შედეგად, ხალხები, ერები, რელიგიები და კულტურები წახალისებულ იქნენ ხიდები გადონ ერთმანეთს შორის და დაუკავშირდნენ ერთმანეთს. რომის პაპამ ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძის დამსახურება და პირადათ მიმართა:"ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მაშინ პიროვნულად გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღეთ ამ მოვლენებში".

იოანეს-პავლე მეორემ შეწუხება გამოთქვა კავკასიაში არსებული მდგომარეობის გამო, მაგრამ ჩეჩნეთის ტრაგედიაზე არაფერი არ უთქვამს. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ საქართველომ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დასძინა:"ახლა ამოცანაა მშვიდობიანობის სტაბილიზაცია მთელ ამ რეგიონში".

ედუარდ შევარდნაძემ კი რომის პაპის ვიზიტს საქართველოში უწოდა "ისტორიული მისია" და თვით იოანეს-პავლე II დაახასიათა როგორც "გამორჩეული პიროვნება"; და აღნიშნა, რომ რომის პაპის ვიზიტი საქართველოში ქართველ ხალხს მისცემს "ცხოვრებისეულ სულიერ იმპულსს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, მათი რწმენის შესაბამისად, არ შეუძლია სხვა რელიგიის წირვაზე დასწრება. იოანეს-პავლე მეორე კი ქადაგებს დაახლოებას მართლმადიდებლებთან, რაც იყო რომის პაპის მიზანი ამ ვიზიტის დროს საქართველოში.

გ.ც.,9.11.1999 წ.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა

### საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

1.

"31 ოქტომბრის არჩევნებით, მისი უდავო დემოკრატიულობით...საქართველომ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ნამდვილად იყო ღირსი დიდი აღიარებისა და იმისა, რომ გაწევრიანებულიყო ევროპის საბჭოში", - განაცხადა 1999 წლის 1 ნოემბრის რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

2.

1999 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები კი ასეთია:

1.მოქალაქეთა კავშირმა მიიღო ხმების 41,75 პროცენტი;
2.ბლოკმა "საქართველოს აღორძინებამ" მიიღო ხმების 25,18 პროცენტი;
3.ბლოკმა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მიიღო ხმების 7,08 პროცენტი.

დანარჩენ პარტიებიდან თუ ბლოკებიდან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების კანონით განსაზღვრული 7 პროცენტი, რის შედეგად პარლამენტში წარდგენილია მხოლოდ აღნიშნული სამი პარტიის დეპუტატები.

3.

1999 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა ახლადარჩეული საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომა, რომლის 233 დეპუტატიდან 63 იყო 1995 წელს არჩეული პარლამენტის დეპუტატი. 12 დეპუტატის ვადა გაგრძელებულ იქნა, რადგან აფხაზეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები არ ჩატარებულა. აფხაზეთი ხომ 1953 წლის 27 სექტემბრიდან იმყოფება რუსეთის ოკუპაციის ქვეშ, აფხაზი ექსტრემისტების ხელით.

233 დეპუტატიდან მხოლოდ 21 არის ქალი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩეულ იქნა ზურაბ ჟვანია, რომელიც იმავე თანამდებობაზე იყო წინა პარლამენტში.

4.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სპიკერად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი. "მოქალაქეთა კავშირს" პარლამენტში ჰყავს 129 დეპუტატი;
ბლოკის "აღორძინების" ფრაქციის სპიკერად არჩეულ იქნა ვახტანგ რჩეულიშვილი.
"აღორძინების" პარტიას პარლამენტში ჰყავს 58 დეპუტატი;
ბლოკის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" სპიკერად არჩეულ იქნა ზურაბ ტყემალაძე . ამ ბლოკს პარლამენტში ჰყავს 15 დეპუტატი.

ამასგარდა, პარლამენტშია 17 დეპუტატი, რომლებიც დამოუკიდებელი არიან აღნიშნული ფრაქციებიდან.

5.

შედარებისათვის მოვიყვანთ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობას 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად:

1."მოქალაქეთა კავშირმა პარლამენტში გაიყვანა.............107 დეპუტატი;
2.ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ........................ 34 დეპუტატი;
3."აღორძინებამ"......................................... 31 დეპუტატი;
4.სოციალისტურმა პარტიამ.................................. 4 დეპუტატი;
5."წინსვლის ბლოკმა"...................................... 4 დეპუტატი;
6."თანადგომის ბლოკმა".................................... 3 დეპუტატი;
7.კავშირმა"რეფორმები-ეროვნული ერთობა".................... 2 დეპუტატი;
8."დამოუკიდებლებმა"...................................... 29 დეპუტატი;
9.აფხაზეთიდან(ვადა გაუგრძელეს).......................... 12 დეპუტატს.
10.ვაკანსიური(თავისუფალი)................................ 4 ადგილი.

6.

როგორც ვხედავთ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა შემადგენლობა,1995 წლის არჩევნების შედეგად, იყო უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე 1999 წლის 31 ოქტომბერს არჩეული პარლამენტის შემადგენლობა, რაც უთუოდ იმის შედეგია, რომ 1999 წელში შეცვლილ იქნა პარლამენტის არჩევნების კანონი, და 5-თი პროცენტის ლიმიტი გადიდებულ იქნა 7-დ პროცენტამდე, და ამ ლიმიტს 31 ოქტომბრის არჩევნებში მხოლოდ სამმა პარტია-ბლოკმა გადააჭარბა - მოქალაქეთა კავშირმა, აღორძინებამ და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"; და აქ ჩვენი შენიშვნა:

7.

ამომრჩეველთა ხმების შვიდ-პროცენტიანი ლიმიტი მეტად დიდი ბარიერა ხომ არ არის, რომ პარტიამ თუ ბლოკმა შეძლოს ამ ბარიერის გარდალახვა და პარლამენტში თავიანთი დეპუტატების გაყვანა?.. ხოლო, ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში,თუ ლიმიტი არსებობს,იგი 5-პროცენტს არასოდეს არ აჭარბებს, რაც ამომრჩეველთა მცირე პარტია-დაჯგუფებებსაც აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში?.. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შვიდ-პროცენტიანი ლიმიტი უთუოდ მეტი"სტაბილურობის" საშუალებას იძლევა, რაც, უდავოა, მნიშვნელოვანი ფაქტორია.

8.

მეორე შენიშვნა: ვითომ საქართველოსათვის პატარა სახელმწიფოსათვის 250-დეპუტატიანი პარლამენტი მეტად მრავალრიცხოვანი არ არის?.. დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 20 000-ით კვადრატული კილომეტრით აჭარბებდა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიას, - პარლამენტი შედგებოდა 130-ი დეპუტატისაგან. მართალია, 1918-1921 წლებთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა დიდად არა, მაგრამ ცოტაოდენი გაიზარდა, მაგრამ საქართველოს პარლამენტი ვითომ 150-ი დეპუტატის სფეროში ვერ უნდა"ჩაეტიოს?.."

9.

და-ბოლოს: სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორიული დემოკრატიული პარტიები - სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თუ ფედერალისტური პარტია, რომლებმაც შეგვიქმნეს ჩვენი ეროვნული დიდებისა და დამოუკიდებლობა-თავისუფლების ეს უკვე ისტორიული თარიღი - 26 მაისი - უკვე არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი არ არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში!.. ერი იცვლება და მასთან ერთად პოლიტიკური ლანდშაფტიც. მაგრამ ვითომ საქართველოს ამომრჩევლები - დასავლეთის ტრადიციული დემოკრატიული ქვეყნების ამომრჩევლებისაგან იმდენად განსხვავდებიან, რომ ტრადიციულ დემოკრატიულ პარტიებს კი არა, ახალ პარტიებს აძლევენ უპირატესობას?..

10.

მიუხედავად აღნიშნული(და არაღნიშნული) შენიშვნებისა, პატივი ვცეთ საქართველოს ამომრჩევლების გადაწყვეტილებას, და ვუსურვოთ წარმატებები საქართველოს ახლადარჩეულ პარლამენტს.

კარლო ინასარიძე

<u>პარიზი, 2000 წლის 12 მაისი</u>

## ალექსანდრე სოლჟენიცინი და კავკასია

=====================================

ნობელის პრემიის ლაურეატმა - ალექსანდრე სოლჟენიცინმა - ინტერვიუ მისცა გერმანიის ცნობილ ჟურნალ "შპიგელს"("შპიგელ",10, 2000 წელი, გვ.192), რომელშიც კორესპონდენტის შეკითხვაზე თუ სად გადის რუსეთის გეოგრაფიული საზღვარი, - <u>სოლჟენიცინმა</u> უპასუხა:

"...შუააზია,უკვე 1990 წელს ვთქვი, არის რეგიონი, რომელიც რუსეთისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს. ამიერკავკასიის რეგიონსაც უნდა მიეცეს ეს შესაძლებლობა...ბალტიის ქვეყნებსაც უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი საკუთარი გზა ჰქონდეთ. ბელორუსიის ჩამოშორება რუსეთიდან კი მე მტკივნეულ დარტყმად ვიგრძენი."

<u>შპიგელის კორ.:</u> "ახლა ბელორუსიას სურს რუსეთთან შეერთება. მაგრამ საკითხი უკრაინა".

<u>სოლჟენიცინი</u>:"უკრაინის ჩამოშორება რუსეთიდან მტკივნეულია ჩემთვის. მე ვაღიარებ მთლიანად და ურეზერვოთ უკრაინის უფლებას განავითაროს თავისი კულტურა და საკუთარი ენა. მაგრამ ჩვენ ვართ მილიონობით,პიროვნული ბედით ერთ[illegible]თთან დაკავშირებული. უკრაინის მოსახლეობის 63 პროცენტი დედაენად თვლის რ[illegible]სულს...აქ უნდა მოქმედებდეს ნათესაობის პრინციპი კულტურებსა და ერებს შორ[illegible] მაგრამ რუსეთი არის დიდი, რომელსაც არ ესაჭიროება ექსპანსიისა თუ საზღვრ[illegible] გაფართოებაზე ფიქრი, არამედ უზარმაზარი რუსეთის ათვისება, ვთქვათ, ციმბირისა, რომელიც დაუსახლებელი დარჩა".

"...ჩეჩნეთში სამარცხვინო ომი დამთავრდა სამარცხვინო კაპიტულაციით 1994 წელს. ამის შემდეგ ჩეჩნებს შეეძლოთ საკუთარი სახელმწიფოს აშენება. მაგრამ ამის სამაგიეროდ დაიწყეს მათ უცხოეთიდან შემოტანილი იარაღით მუსლიმანური უცხო ძალების საწრთვნელი ბანაკების შექმნა. ჩეჩნეთი გახდა მსოფლიო პრობლემა. შეტაკებები რადიკალურ ისლამისტებსა და ე.წ-დ პირველი მსოფლიოს ძალებს შორის...ეს არის 21-ე საუკუნის მუქარა..." "ჩეჩნები არიან საუკეთესო მეომრები, ამაყი, მედგარი ხალხი, რომელთანაც საბჭოთა რეჟიმს რთული პრობლემები ჰქონდა, რომლის მოგვარებას მთელი ხალხის დეპორტაციით შეეცადა..."

<u>"შპიგელ",10, 2000 წ., გვ.192.</u>

**პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების 80 წლისთავი

## 1920 წელი - 7 მაისი - 2000 წელი

ნოე ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში, თავის მოგონებებში - "ჩემი წარსული", პარიზი 1953 წელი - ლაპარაკობს რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების შესახებ და, სხვათა შორის, წერს:

'- ვინაიდან ვერსალის საზავო კონფერენციამ დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ცნობის საქმე რუსეთის საკითხს დაუკავშირა - "გადავწყვიტე, ჯერ ჩემს გულში, მოსკოვში კაცის გაგზავნა".

როგორც ის წერს, ამგვარი მისიისათვის ის შეჩერდა გრიგოლ ურატაძეზე, რომელიც ლენინს პირადათ იცნობდა, და საიდუმლოდ გაგზავნა მოსკოვში. დავით საღირაშვილი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომელიც სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობაში ითვლებოდა, თავის მოგონებაში კი მოგვითხრობს, რომ მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სულ სამი კაცი - გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი და მირსკი-კობახიძე, თუმცა ამის შესახებ გრიგოლ ურატაძე თავის მოგონებაში არაფერს არ ამბობს. მაგრამ გავეცნოთ ჯერ გრიგოლ ურატაძის მოგონებას რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ გრიგოლ ურატაძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი პირი, რომელსაც არაერთი საპასუხისმგებლო დავალება შეუსრულებია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში 1918-21 წლებში; შემდეგ კი მოღვაწეობდა პარიზში, სადაც ის გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ მმათა სასაფლაოზე.

აი რას მოგვითხრობს გრიგოლ ურატაძე 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. გრიგოლ ურატაძის ხმა ჩა-

-რი წელიწადი უსრულდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს და იგი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დე იურედ.

იმ დროს ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა დამოკიდებული იყო პარიზში არსებულ უმაღლეს საბჭოზე, რომელშიაც შედიოდნენ გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები - ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით. ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ც ნ ო ბ ა მიეღო, რაც შეიძლება დაჩქარებით.

უმაღლესმა საბჭომ ყველა იმ ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა რომლებიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა - დაუკავშირა ე.წ. "რუსეთის საკითხს". რუსეთის საკითხის გადაჭრა კი გადაიდო სულ.

ბოლოსთვის. საერთაშორისო ცნობის დაგვიანება კი დიდ საფრთხეს უქმნიდებდა ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას. საკითხის დასაჩქარებლად ჩვენს მთავრობას აზრად მოუვიდა ეცადა ცნობის მიღება თვით საბჭოთა რუსეთიდან და თუ ამას შესძლებდა - დარწმუნებული იყო, ამ ცნობას გავლენა ექნებოდა პარიზის უმაღლეს საბჭოზედაც - საქართველოს ცნობის საკითხში. ცდა ბედის ნახევარიაო იტყვიან. ამიტომ მთავრობის თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ დამავალა მე, მომეხერხებინა როგორმე მოსკოვში მისვლა და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება.

ჩემი ჩასვლა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ, რომ არ გაეგოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რადგან ესენი მტრულად იყვნენ განწყობილნი თავის საკუთარ ქვეყნისადმი, და შეეძლოთ ხელი შეეშალათ ჩვენი ცნობისათვის. არც იმ ძალებს უნდა გაეგოთ, რომლებიც სამოქალაქო ომში იყვნენ ბოლშევიკებთან, რადგან მე მათ ტერიტორიაზე მისდებოდა გავლა.

მოგზაურობა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ხიდები ბევრ ადგილას ჩალეწილი იყო, ხშირად რკინიგზის რელსები აყრილი, სადგურები გადამწვარ-მინგრეული. ნოვოროსიისკიდან როსტოვამდე ვიმგზავრე ორთქმავალით. ორთქმავალს მივყავდით დანგრეულ ხიდამდე. იქ ხიდის ნანგრევებზე ფეხით გადავდიოდით და იქიდან მივყავდით მეორე ორთქმავალს შემდეგ მდინარემდე. იქ კიდევ იგივე პროცედურა მეორდებოდა. ერთ ადგილას ორთქმავალს ნახშირი არ ეყო და ტყის ახლოს გაჩერდა. ჩვენ დავაგროვეთ შეშა, შევუკეთეთ ცეცხლი და გავწიეთ. სადგურები გზაში სავსე იყო ხალხით, ქალებით, ბავშვებით, კაცებით.

დიდი დავიდარაბით ჩავედი როსტოვში. იქ მოთავსებული იყო ჩრდილოკავკასიის "სამხედრო სარევოლუციო საბჭო", რომელსაც თავჯდომარეობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო. ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გაქცეულნი იყვნენ საქართველოდან ექსპროპრიაციის ან მოღალატეობის ჩადენისათვის, საქართველოს "მენშევიკურ რესპუბლიკას" უწოდებდნენ.

როსტოვ-ჩრდილოკავკასიის რაიონში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. იქ მომქმედი ჯარი ემორჩილებოდა იმ სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, რომლის თავჯდომარე ორჯონიკიძე იყო. მის ხელში იყო აგრეთვე ყოველგვარი ცნობათა გადამცემი აპარატი - ფოსტა, პირდაპირი მავთული და სხვა.

ორჯონიკიძე მეტად მტრულად შეხვდა ჩემს მისვლას. მარწმუნებდა, რომ მოსკოვი არას გზით არ დაეთანხმებოდა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე, რადგან ამის წინააღმდეგი იქნებოდა სტალინი, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა კომისარი იყო. მეც მასთან ვარ ამ საკითხში, ამიტომ შენი მოსკოვში წასვლა უმიზნოა, სჯობია დაბრუნდე საქართველოში და ამაში კი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევ - შეუძლებელია იგი.

ორჯონიკიძე ჩემი ძველი ნაცნობი იყო. ამიტომ გარეგნულად მეტად თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ როგორც კი მოსკოვში წასვლაზე ჩამოვუგდებდი ლაპარაკს - უარს მეუბნებოდა. ერთადერთი სამსახური, რომელიც მან გამიწია იყო ის, რომ მომცა ოფიციალური ნებართვა გავსულიყავი სადგურში, როცა მინდოდა. ორი კვირა დავდიოდი სადგურზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი სამგზავრო მატარებელიც არ დაძრულა მოსკოვისაკენ. იყო რამდენიმე ე.წ. "დელეგაციის ვაგონი", მაგრამ ვაგონის ყველა კომენდანტი ითხოვდა საგანგებო ნებართვას, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე არ იძლეოდა. მე მაინც განვაგრძობდი სადგურზე გასვლას იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც წავაწყდებოდი მატარებელს.

ერთ საღამოს სადგურზე მოვიდა არანორმალურად გრძელი მატარებელი საქონლის ვაგონებისაგან შემდგარი. ვაგონებზე წითელი აწერებით იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერილი: "ამხანაგ ლენინს - პერეკოპის მუშებისაგან!" პერეკოპზე იმ ხანებში ბრძოლა იყო ვრანგელის ჯართან, რომელიც დაამარცხა წითელმა ჯარებმა. წითელი ჯარის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ცნობილი ბოლშევიკი - სოკოლნიკოვი. როგორც გამოირკვა, იგი ახლა მიდიოდა მოსკოვში და თან მიჰქონდა პურის ფქვილით და სხვა სანოვაგით დატვირთული "საჩუქრად ლენინს", ვითომდა იქაური მუშებისაგან. ნამდვილად კი იყო იმის ნადავლი ვრანგელის დამარცხების შემდეგ.

ხარკოვში ვიყავი, როცა ეს მატარებელი მოვიდა. გავიგე, რომ მატარებელი პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და არის "ამხანაგ სოკოლნიკოვის" განკარგულებაში. მოვახერხე მისი ნახვა. მან ჯერ მიმიღო, როგორც ამხანაგი, მაგრამ როცა გაიგო ჩემი მისია და გაეცნო ჩემს მანდატს, რომელიც როგორც მეფის რეჟიმის დროს, ისე ახლაც პარტიის სათავეში მქონდა ჩამალული, მეგობრული კილოთი მითხრა: "რადგან თქვენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ხართ, მე არ შემიძლია შეგთავაზოთ ადგილი ჩემს ვაგონში"; და მოახდინა განკარგულება ჩამოებათ მისი მატარებლისთვის სპეციალური ვაგონი ჩვენი მისიისათვის. მე მეტად გახარებული ვიყავი იმით, რომ საშუალება ვიპოვე მოსკოვში ჩასასვლელად. რადგან ორჯონიკიძე ამ დღეს ჩრდილო კავკასიაში იყო წასული და ხელის შეშლა არ შეეძლო. ალბათ, ძალიან ინანა, რომ აღარ დავხვდი, მაგრამ რაღას გააწყობდა!

ამ მატარებლით ჩავედი მოსკოვში. პირველ ყოვლისა ვინახულე ლენინი და ჩემი მისია გავაცანი. "ქართველი მენშევიკები - მიპასუხა მან - სუსტი ხალხი ხართ, თქვენთან მეგობრობა შეიძლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ჯარების მიერ საომარ ბაზად ჩვენს წინააღმდეგ." მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ, პირადი მდივანის პირით აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს - ჩიჩერინს - დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეიძლება დაჩქარებით დაესრულებინა. მისგან ასე ადვილად დათანხმება მოლაპარაკებაზე შეიძლება აიხსნას ერთი მხრით იმით, რომ ბაქო თავისი ნავთით უკვე მის ხელში იყო და აღარ სურდა გაერთულებინა მდგომარეობა კავკასიაში, მით უმეტეს რომ კარზე ადგა ომი პოლონეთთან.

მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი. ვამბობ ღამით, რადგან კრემლის კომისარიატები თითქმის ყველანი მუშაობდნენ ღამით. ჩიჩერინმა თავის მოადგილე - კარახანი - დანიშნა თავის წარმომადგენლად, და დავიწყეთ მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. - არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ - როგორც შემდეგ ერთმა გულსმა მითხრა ცინით: "რატომ დაგიწყებდნენ დავას, თურმე მთელი საქართველოს ერთად წაღებას ფიქრობდნენ!"

თავის მხრივ ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარებით და ყველაფერს შვრებოდა, რომ მოსკოვი საქართველოს დაპყრობის ფაქტის წინაშე დაეყენებინა. მე მალე დავრწმუნდი, რომ ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა, იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი. ეს ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, როცა გავიგე, რომ წითელი ჯარები იბრძვიან საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანის მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განვუცხადე, რომ თუ არ მიიღებდა საჭირო ზომებს იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპარაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყოვნებლივ გაეგზავნა ორჯონიკიძისათვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეტაკება მოუხდებოდა პასუხისმგებელი პირადათ ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი მავთულით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა: "არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილები!"

შემდ. მაინც ხელი მოაწერეთ ხელშეკრულებაზე. ბოლშევიკების გულწრფელობა არასდროს არ გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგათ ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდენ ხელშეკრულებას და ისიც ისე მოკლე ხანში - ამის დაჯერება კი ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოვალეობათ გაიხადა, რომ ის არასდროს არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და აღვივებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას. ქართველი ხალხის მიერ გაძევებული ქართველი კომუნისტები, ყოველი მხრიდან უსისინებდენ და აქეზებდენ მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ და ბოლოს მოიყვანეს წითელი ჯარები, დაიპყრეს მათი საშუალებით ქვეყანა და გაბატონდენ. ამ რიგად, ისინი აღმოჩნდენ საუკეთესო გამტარებელნი მოსკოვის წითელი იმპერიალიზმისა.

ასე თქვა გრიგოლ ურატაძემ 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების შესახებ. მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სულ სამი კაცი - გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი და შირსკი-კობახიძე, თუმცა ამის შესახებ გრიგოლ ურატაძე თავის მოგონებაში არაფერს არ ამბობს.

გაგაცნობთ დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის მეორე წევრის - დავით საღირაშვილის - მოგონებას ამავე საკითხზე.

დავით საღირაშვილი დაიბადა 1887 წლის 15 იანვარს თბილისში და გარდაიცვალა 1962 წელს ვაშინგტონში, 75 წლის ასაკში. დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

დავით საღირაშვილი მთელი თავისი ცხოვრება იღვწოდა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის რიგებში და თავიდანვე ჩაება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, ის იყო ცნობილი ქართული სახალხო გვარდიის შტაბის წევრი, სახალხო გვარდიისა, რომელიც - დამოუკიდებელი საქართველოს რეგულარული არმიის გვერდით - ასე შეუპოვრად და წარმატებით იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკას გარე და შინა მტრებისაგან.

დავით საღირაშვილი მოგვითხრობს:

"...ერთ დილას გაგრაში გამაცნეს ორი პირი, რომლებიც მოვიდნენ თბილისიდან. ერთს მე კარგად ვიცნობდი. ეს იყო გრიშა ურატაძე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო მეორე მე ვნახე პირველად...ცნობილი აღმოჩნდა ბოლშევიკი შირსკი, წარმოშობით ქართველი კობახიძე, პროფესიით ექიმი...ის სტალინის დავალებით გამოგზავნილი იყო საქართველოში დამანგრეველ მუშაობისათვის. მოიტანა 8-ათასი ოქროს მანეთი და შექმნა მთელი ქსელი "ტროიკების". მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული...მოხვდა რა ციხეში, შირსკი-კობახიძე დარწმუნდა, რომ ამგვარი სახის "მუშაობა" განწირული იყო და რომ ქართველ ხალხს აბსოლუტურად არ სურდა ბოლშევიკური იდეის მიღება. როცა-

ის-მივიდა ამგვარ რწმენამდე...,მან გადაწყვიტა მიეწერა წერილი სა-ქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის - ევგენი გეგეჭკორისათვის - გაენთავისუფლებია ის პატიმრობიდან, იმ შეპირებით, რომ ხელს შეუ-შექმნას წყობდა მოსკოვში კეთილმეზობლური დამოკიდებულების [illegible] მთავრო-ბასთან.

ევგენი გეგეჭკორს,აგრეთვე ნოე ჟორდანიას არწმუნებდა მირსკი-კობახიძე დარჩებოდა მისი "პატიოსანი სიტყვის" ერთგული და მიიღებდა ყოველ ზომას, რომ ბოლშევიკებს თავი დაენებებიათ საქართველოსთვის, გადაწყვეტილ იქნა მირსკი-კობახიძესა და გმირა ურატაძესთან ერთად წავსულიყავით მოსკოვში - დავალებით გაგვეგო განწყობილება მოსკოვის მართველ სფეროებში საქართველოს მიმართ".

დავით სალირაშვილი შემდეგ წერს: "დონის როსტოვში მისვლისას, როგორც ჩვენ შევხვდით სერგო ორჯონიკიძეს,რომელსაც ჩვენ ვიცნობდით საქარ-თველოს ეროვნული მთავრობის სასტიკ მტერს. მართალია მან ჩვენ შეგვ-ხვდა ფორმალურად მეგობრულად,მაგრამ გადაწყვეტილად განაცხადა, რომ ჩვენ არ უნდა წავსულიყავით მოსკოვში, რომ მას ყველაფრის გაფორმე-ბა შეუძლია დონის როსტოვში. მისი დემაგოგიურობის საზარლობა მეტად ძნელი წარმოსადგენია. ჩვენს კამათში ჩაერია მირსკი-კობახიძეც, რომელიც უმტკიცებდა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ჩვენ ვართ უფლება-მოსილი საქართველოს მთავრობის მიერ პირადათ ლენინს მოვახსენოთ საქართვე-ლოს მთავრობის სურვილი,ლენინს,რომელიც კარგად იცნობდა ნოე ჟორდა-ნიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობების დროს უცხოეთში.მაგ-რამ სერგო ორჯონიკიძეზე არავითარი დასაბუთება არ მოქმედებდა".

დავით სალირაშვილი შემდეგ განაგრძობს:

"მირსკი-კობახიძემ მოითხოვა, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წე-ვრმა, პირდაპირი ტელეფონის ხაზი ლენინთან და სტალინთან,ვინაიდან ის მივლინებაში იქნა გაგზავნილი საქართველოში მათ მიერ. მაგრამ სერგო ორჯონიკიძე ამაზეც არ დათანხმდა; და ამით დამთავრდა ეს მეტად მწვავე კამათი. მე ვისარგებლე ორჯონიკიძის წასვლით და ვთხოვე სმილგს,რომელიც მოწმე იყო ოთხი ქართველის დავისა,ელაპარაკა ჩემ-თან მარტო...ჩვენ გავედით მეორე ოთახში და ვკითხე, არ უკვირს მას სერგო ორჯონიკიძის მოქმედება. მან თქვა, რომ ორჯონიკიძეს არ აქვს უფლება დაგაკავოთ თქვენ გზაზე, და რომ ის შეეცდება დაითანხმოს ორჯონიკიძე, უკიდურეს შემთხვევაში, მისცემს შესაძლებლობას მირსკის დაელაპარაკოს ლენინს. მართლაც, სამი საათის შემდეგ მირსკიმ მიიღო შესაძლებლობა დალაპარაკებოდა პირადათ ლენინს პირდაპირი ხაზით. ლენინისაგან მიიღო ბრძანება ორჯონიკიძემ, რომ მას დაუყონებლივ გაეშვა საქართველოს დელეგაცია...ამის შემდეგ ორჯონიკიძე გახდა სრუ-ლიად სხვაგვარი,ტკბილი და თავის დიდებულ სალონ-ვაგონშიც მიგვიწვია.

აი ვზივართ სალონ-ვაგონში ოთხი ქართველი - ორი ბოლშევიკი:ორჯონი-კიძე-კობახიძე - და - ორი სოციალდემოკრატი: ურატაძე და მე - და ვიხილავეთ რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან,რომლის ერთ ნათქლი გახდა ორისხვადასხვა ორიენტაცია.. და-ბოლოს ჩავედით მო-კოვში...მირსკი-კობახიძემ მოგვათავსა თავის ბინაში".

დავით საღირაშვილი შემდეგ თავის მოგონებაში-საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შესახებ 1920 წლის მაისში:-წერს:

"ჩვენ გვითხრეს, რომ სანამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან წავრსდგებოდეთ, აუცილებელია ეროვნებათა კომისარ-სტალინთან შეხვედრა...შევხვდით სამი ქართველი სტალინს თავის კაბინეტში; იქვე იჯდა კამენევიც,რომელიც მოსული იყო,როგორც ჩანს, პარტიული საქმეებისათვის. სტალინმა,როგორც კი მოახსენეს მას, მიგვიღო დაუყონებლივ. ის მომზადებული იყო ჩვენი მიღებისათვის იმავე მირსკი-კობახიძის მიერ,რომელმაც მისცა მას ვრცელი მოხსენება ნამდვილი მდგომარეობის აღწერით საქართველოში; დასკვნით, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ. ეს მოხსენება-წერილი წარუდგინა ლენინს,ხოლო ახლა სტალინს... ჩვენ მოკლედ შევნიშნეთ, ქართველ ხალხს არ შეუძლია წავიდეს საბჭოთა მთავრობის მიერ არჩეული გზით; ის მიდის თავისი გზით,მაგრამ ჩვენ არ ვართ მტრები და არ გვსურს ხელი შევუშალოთ იმას,რაც ხდება რუსეთში. ჩვენ გვსურს ასეთივე პოზიცია რუსეთისაგანაც; ამის დამამტკიცებელი საბუთი კი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა".

დავით საღირაშვილი შემდეგ წერს:

"სტალინი ჩვენ გვისმენდა ყურადღებით...დასასრულს თქვა:"მე შემეძლება მოგცეთ პოზიტიური პასუხი, თუ ხელშეკრულებაში იქნება ჩართული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს თავისთავზე არ დაუშვას,რომელიც არ უნდა იყვეს, მტრული ძალები თავის ტერიტორიაზე." - ჩვენ ამაზე მივეცით დადებითი პასუხი. მაშინ სტალინმა მიმართა იქვე მჯდომ კამენევს და ღიმილით შეეკითხა:"აბა, ამხანაგო კამენევო, რა უნდა გვქონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის წინააღმდეგ?" - კამენევი,რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა,ჩანს, გაკვირვებული იყო ჩვენი საუბრით და მხოლოდ ახლა ამოიღო ენა:"რა თქმა უნდა, ამხანაგო სტალინ,რა უნდა გვქონდეს ჩვენ ცნობის წინააღმდეგ. დაე, იცხოვრონ და იმუშაონ,როგორც მათ ეჩვენებათ უკეთესად; მხოლოდ აი ეს ნოე რამიშვილი,საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე მკაცრად ნუ მოქმედებს ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგ"."

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით საღირაშვილი შემდეგ წერს:"მიღება სტალინთან დამთავრდა. ჩვენ კმაყოფილი ვიყავით სტალინის დასკვნით,რომელიც სამი დღის შემდეგ თვითონ მან გადასცა პირადათ ლენინს. ლენინი, გაეცნო რა საქმეს, სტალინის დასკვნაზე მიაწერა:"თანახმა ვარ", და იმავე საათში გადასცა ჩიჩერინს,საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს,რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა გამოემუშავებია შესაბამისი ხელშეკრულება. ლენინმა შეგვპირდა, რომ ის მიგვიღებს ჩვენ, როცა დამთავრდება ამ ხელშეკრულების ფორმალური მხარე .

მეტი რა გვინდოდა? წარმატება იყო თვალსაჩინო. მირსკი-კობახიძე იყო აღფრთოვანებული...ჩიჩერინმა,ლენინისა და სტალინის თანხმობით,საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება მოიწონა 1920 წლის 7 მაისს და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობის უფლებამოსილებით - კარახანმა, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებით გრიგოლ ურატაძემ."

დავით საღირაშვილი და-ბოლოს დასძენს:"ორი დღის შემდეგ მოხდა მიღება ლენინთან,რომელიც გაგრძელდა სულ 15-ცი წუთი. მან გვისურვა, რომ ეს ხელშეკრულება არ დარჩენილიყო მხოლოდ ქაღალდზე და ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ მალე იქნას ხორცშესხმული."აბა, - თქვა ლენინმა - ააშენეთ თქვენთან თქვენებურად დემოკრატიული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, ხოლო ჩვენ შევქმნით მას რევოლუციურად" - დასძინა მან ხუმრობით."

"მაგრამ - დასძენს დავით საღირაშვილი თავის მოგონებაში - 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა,ომის გამოცხადებლად,ყოველგვარი მიზეზის გარეშე,...გადალახეს დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები...ომი გაგრძელდა თვე-ნახევარი, და მიუხედავად გმირული თავდადებითი ბრძოლების, რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდა 1921 წლის 25 თებერვალს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა იმავე წლის 17 მარტს".

აი,პატივცემულო მსმენელებო, ამონაწერები დავით საღირაშვილის მოგონებებიდან იმის შესახებ, თუ როგორც დაიდო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, და როგორ მუხანათურად დაარღვია ეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ლენინის მეთაურობით.

როგორც ამ ხელშეკრულების დედნის ტექსტიდან ჩანს,რომელსაც ხელს აწერს გრიგოლ ურატაძე და საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანი, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულება შედგენილ იქნა მოსკოვში ორ-ეგზემპლარად,

და,როგორც ჩანს, მხოლოდ რუსულ ენაზე,რომელთაგან ერთი მიიღო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ხოლო მეორე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ.

ამჟამად საბჭოთა-რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება თარგმნილია რუსულიდან ქართულად

ეს ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ ნაწილებს:
1."უფლებამოსილებისა" და ხელშეკრულების დადების "ოქმს",
2.თვით ხელშეკრულებას,რომელიც შედგება 16-ი მუხლისაგან,
3.ორ-მუხლიან "სპეციალურ საიდუმლო დანართს" და
4.სამ-მუხლიან "თანდართულ დამატებით შეთანხმებას".

რუსეთის ფედერაციული
სოციალისტური
საბჭოთა რესპუბლიკა

სახალხო კომისართა
საბჭო

მოსკოვი,კრემლი,
7 მაისი,1920 წ.
№ 6/710

უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა

იმის გამო,რომ რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ,რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადებისათვის მოლაპარაკებების საწარმოებლად უფლებამოსილებით აღჭურვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი,მიანიჭა რა მას უფლება,-ხელი მოაწეროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ პირებთან ერთად მოლაპარაკებების გზით მიღწეულ ხელშეკრულებას,რომელიც აღნიშნული ხელმოწერის ძალით სავალდებულო იქნება რუსეთისათვის რაიმე განსაკუთრებული რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად,რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ უფლებამოსილებას და ბრძანა მისი დამტკიცება შესაბამისი ბეჭდის დასმით.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ულიანოვი (ლენინი)
საგარეო საქმეთა სახალხო
ბეჭედი. კომისარი გეორგ ჩიჩერინი.

ო ქ მ ი.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის-ძე კარახანმა, ჩვენ-ჩვენი მთავრობების მიერ გაცემულ უფლებამოსილებათა ურთიერთისათვის წარდგენის საფუძველზე, დღეის რიცხვით, მოვაწერეთ რა ხელი საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულებას, რომელიც შემუშავებულ იქნა შესაბამისი მთავრობების უფლებამოსილებათა საფუძველზე ჩვენს შორის მიმდინარე წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, -თვითეულმა მივიღეთ აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ჩვენი მთავრობებისათვის გადასაცემად.

ამასთან, ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე მხარე შევთანხმდით, რომ დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულება ორივე ხელმომწერი მხარის მიერ დაუყოვნებლივ იქნება საჯაროდ გამოტანილი სრული შინაარსით გარდა მე-5-ე მუხლის მე-10 ქვემუხლისა, რომელიც გამოქვეყნებული იქნება დღეიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, რის დასადასტურებლადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა შევადგინეთ ეს ოქმი და განვამტკიცეთ იგი ჩვენ-ჩვენი ბეჭდების დასმით.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე.     ლ. კარახანი.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა.

საქართველოსა და რუსეთს შორის.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრივ და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორეს მხრივ, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით, -დაემყარებიათ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი თანაცხოვრება ორივე ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ, -გადაწყვიტეს ამისათვის დაედონ სპეციალური ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ უფლებამოსილ პირებად: საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ -საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ -საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი. აღნიშნული უფლებამოსილი პირები, გაეცნენ რა ერთმანეთის უფლებამოსილებებს, რომლებიც აძლევს აღნიშნულ პირებს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებას, -შეთანხმდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებზე:

მუხლი I.

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, -რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

მუხლი II.

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას, -უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

მუხლი III.

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე, ახახჩასა და არაპეტის მთებს შუა გავლით შავი ზღვის, ქუთაისისა და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე, ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა გადასასვლელი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე მიჩნეულია ნეიტრალურად. ისინი არ შეიძლება დაკავებულ ან გამაგრებულ იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი რომელიმე მხარის ჯარების მიერ.

3. ამ მუხლის მე-2 ქვემუხლში აღნიშნული ნეიტრალიტეტი დარიალის გადასასვლელზე გავრცელდება გადასასვლელის გასწვრივ ბალტადან კობის გადასასვლელამდე. მამისონის გადასასვლელზე -ზარამაგიდან ონამდე, ხოლო ყველა სხვა გადასასვლელზე -საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით ორივე მხარეს.

4. ამ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის ზუსტ გატარებას მოახდენს სპეციალური შერეული კომისია, რომელშიც შევა წევრთა თანაბარი ოდენობა ორივე მხრიდან. ამ კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცებულ იქნება სპეციალური ხელშეკრულებით ორივე ხელმომწერი მხარის მიერ.

მუხლი IV.

1. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის I ქვემუხლით გათვალისწინებული შავი ზღვისპირა გუბერნიის ნაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა,საქართველოს სახელმწიფოში შემავალად სცნობს უსიტყვოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები და ოლქები:ტფილისის,ქუთაისისა გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას,-უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

მუხლი III.

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე,ახახჩასა და არაპეტის მთებს შუა გავლით შავი ზღვის,ქუთაისისა და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე,ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა გადასასვლელი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე მიჩნეულია ნეიტრალურად.ისინი არ შეიძლება დაკავებულ ან გამაგრებულ იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი რომელიმე მხარის ჯარების მიერ.

3.ამ მუხლის მე-2 ქვემუხლში აღნიშნული ნეიტრალიტეტი დარიალის გადასასვლელზე გავრცელდება გადასასვლელის გასწვრივ ბალტიდან კობის გადასავლელამდე.მამისონის გადასასვლელზე -ზარამაგიდან ონამდე,ხოლო ყველა სხვა გადასასვლელზე -საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით ორივე მხარეს.

4. ამ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის ზუსტ გატარებას მოახდენს სპეციალური შერეული კომისია,რომელშიც შევა წევრთა თანაბარი ოდენობა ორივე მხრიდან.ამ კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცებულ იქნება სპეციალური ხელშეკრულებით ორივე ხელმომწერი მხარის მიერ.

მუხლი IV.

1. რუსეთი ვალდებულებას იღებს,გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის I ქვემუხლით გათვალისწინებული შავი ზღვისპირა გუბერნიის ნაწილებისა,საქართველოს სახელმწიფოში შემავალად სცნოს უსიტყვოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები და ოლქები:ტფილისის,ქუთაისისა და ბათუმის,-ყველა მაზრებითა და ოლქებით,რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს.

2. შემდგომში,საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებრივ ფორმირებებს შორის,გარდა რუსეთისა,ურთიერთობათა გარკვევის კვალობაზე,რომელთაც აქვთ ან შესაძლოა ექნეთ საქართველოსთან საზღვარი,განსხვავებული იმისაგან,რაც აღწერილია ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში,რუსეთი გამოთქვამს მზადყოფნას,-სცნოს,როგორც საქართველოში შემავალი,კავკასიის ყოფილი სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი,რომლებიც გადავა მის შემადგენლობაში ამ ფორმირებებთან დადებული ხელშეკრულებებით.

მუხლი V.

1. ცნობს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნებს,-ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნას დაშვებული არავითარი სამხედრო ოპერაციები, სამხედრო ძალების ყოფნა ან სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შექმნიდა საშიშ პირობებს მისი დამოუკიდებლობისათვის ან საქართველოს ტერიტორიის ისეთი ოპერაციების ბაზად გადაქცევისათვის, რომლებიც მიმართული იქნებოდა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა ან მასთან კავშირში მყოფი სახელმწიფოების ან მასზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ,-

საქართველო თავის თავზე იღებს ვალდებულებას:

1.- დაუყოვნებლივ განაიარაღოს და საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება უყოს ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ან მის საზღვრებში მომავალში შეჭრილი, თუ ასეთს ექნა ადგილი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, გუნდები და ჯგუფები, რომელთაც ექნებათ პრეტენზია რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე ან რუსეთის მოკავშირე ქვეყნის მთავრობის როლზე და აგრეთვე წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც თავიანთ მიზნად აცხადებენ რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის დამხობას.

2.-დაუყოვნებლივ განაიარაღოს და ინტერნირება უყოს საქართველოს ნავსადგურებში მყოფ ყველა გემს, რომლებიც შედიან ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული სამხედრო-საზღვაო ძალების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების შემადგენლობაში ან ამა თუ იმ მიზეზით იმყოფებიან ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების განკარგულებაში და იმყოფებიან საქართველოს ნავსადგურებში. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ მთლიანად გამოიყენება ამ მუხლის პირველი ქვემუხლით გათვალისწინებული პირობები.

3.-გადასცეს რუსეთს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მფლობელობაში, გამოყენებასა ან განკარგულებაში მყოფი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, ფასეულობა და ფულადი სახსრები.

ხსენებული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონების ქვეშ იგულისხმება: გემები და სხვა მცურავი საშუალებები და ყველა საარტილერიო, საინტენდანტო (სასურსათო და ნივთიერის ჩათვლით), საგნები, საინჟინრო და საავიაციო მომარაგება.

4.- გადასცეს რუსეთს, განიარაღების შემდეგ, ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟები. რუსეთი იღებს ვალდებულებას,-შეუნარჩუნოს სიცოცხლე ამ მუხლის ძალით მისთვის გადაცემულ ყველა პირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.- გაატაროს ღონისძიებები საქართველოს იმ ტერიტორიიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლითაა განსაზღვრული, ყველა სახის ჯარებისა და სამხედრო რაზმების გასაყვანად, რომლებიც არ შედიან საქართველოს სამთავრობო ჯარის შემადგენლობაში.

6.- გაატაროს ღონისძიებები, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც ამ მუხლის წინა ქვემუხლშია ჩამოთვლილი.

7.- აუკრძალოს საქართველოს ჯარის შემადგენლობაში ამა თუ იმ საბაბით, მათ შორის ნებაყოფლობით შესვლა პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ მუხლის პირველ და მე-5 ქვემუხლებში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და სამხედრო ნაწილებს, რამდენადაც ეს პირები თავიანთი ეროვნებით არ წარმოადგენენ ქართველებს.

8.- არ დაუშვას მომავალში ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილ საზღვრებში ფორმირება და ყოფნა ნებისმიერი ორგანიზაციისა და ჯგუფისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთავრობის როლზე რუსეთის ან მისი ნაწილის მიმართ ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ ისევე როგორც არ დაუშვას წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობათა დამხობა. საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას, -არ დაუშვას ხსენებული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გატარება ყოველივე იმისა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთზე ან მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასხმისათვის, ასევე წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთი ორგანიზაციების გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების ყოფნას მის ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში, გარდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული გემების უბედური შემთხვევებისა და სხვა მსგავსი შემთხვევისა.

9.- იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის წინა, მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილი ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირების მიერ ადგილი ექნა ამ მუხლის აღნიშნულ მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილ აკრძალვათა დარღვევის მცდელობებს, საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის მე-8 ქვემუხლით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, დაკავებული პირებისა და ქონების მფლობელების მიმართ გატარებული იქნება ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებით.

10. ამ მუხლის მე-5 ქვემუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება დაწყებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას იღებს დაასრულოს იგი უმოკლეს ვადაში, თუნდაც ამისათვის დასჭირდეს სამხედრო ძალის გამოყენება.

## მუხლი VI.

რუსეთი იღებს ვალდებულებას,-არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს,რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე,აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს,რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა.რუსეთი ვალდებულებას იღებს,გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე,რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები.

## მუხლი VII.

შესაძლო გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ორივე ხელმომწერი მხარე შეთანხმდა,რომ ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 ქვემუხლების შესრულებისას საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებზე,რომლებსაც გააჩნიათ მის შემადგენლობაში შესვლის უფლება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 ქვემუხლის საფუძველზე,მას შემდეგ,რაც საქართველო დაადგენს საზღვრებს მომიჯნავე ქვეყნებთან,გარდა რუსეთისა,ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გამაფრთხილებელი ღონისძიებები საქართველოს მხრიდან დასრულებულ უნდა იქნას უმოკლეს ვადაში მას შემდეგ,რაც საქართველო თავის თავზე აიღებს ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ უმაღლესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ფორმალურ განხორციელებას.

## მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლების ზუსტ შესრულებაზე თვალის დევნებისა და აღნიშნული მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარებისათვის წესდება შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან თვითეული მხარის წარმომადგენელთა თანაბარი ოდენობით.

კომისიის მუშაობის განაწესს საზღვრავს თვით კომისია.

ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებში ხსენებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარება დასრულებულ უნდა იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში.

## მუხლი IX.

1.- ქართული წარმოშობის პირებს,რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და მიაღწიეს 18 წლის ასაკს,ენიჭებათ უფლება,-მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა.ასევე პირებს,რომლებიც არიან არა ქართული

წარმოშობის, ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და მიაღწიეს აღნიშნულ ასაკს, ენიჭებათ უფლება, -მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

2.- ამ მუხლის შესრულების დაწვრილებითი განაწესი განმტკიცებულია ორ ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებით.

3.- ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე სახელმწიფოს ის მოქალაქეები, რომლებიც მოისურვებენ ამ მუხლით მინიჭებული უფლებით სარგებლობას, ვალდებული იქნებიან შეასრულონ მათ მიმართ წაყენებული ფორმალობები ამ მუხლის მე-2 ქვემუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი X.

საქართველო ვალდებულებას იღებს გაათავისუფლოს სასამართლო ან ადმინისტრაციული სასჯელისა და დევნისაგან ყველა ის პირი, რომლებიც დასჯილი იქნენ საქართველოს ტერიტორიაზე ქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პირები, რომლებიც საპატიმროში იმყოფებიან აღნიშნული სახის ქმედებისათვის.

მუხლი XI.

ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი თვითეული მხარე ვალდებულებას იღებს სცნოს და პატივი სცეს მეორე მხარის ალამსა და ღერბს, როგორც მეგობრული სახელმწიფოს ემბლემებს. ალამისა და ღერბის სურათები, ისევე როგორც მათში შეტანილი ცვლილებები, თუ ასეთს ექნა ადგილი, ურთიერთს ეცნობება დიპლომატიური გზებით.

მუხლი XII.

ეკონომიური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, მათ შორის სავაჭრო შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც შესაძლო უმოკლეს ვადაში გაფორმებულ უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1.-ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ორივე მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო ურთიერთობას საფუძვლად უდებს რაც შეიძლება მეტი ხელსაყრელობის პრინციპს.

2.-საქონელი, რომლის გამგზავნს ან მიმღებს წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე, მეორე მხარის მიერ არ იბეგრება რაიმე სატრანზიტო ბაჟით ან გადასახადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუხლი XIII.

ამ ხელშეკრულების წინა,მე-12 მუხლის პირველი და მეორე ქვემუხლებით გათვალისწინებული პირობები უნდა დაედოს საფუძვლად სავაჭრო შეთანხმე-ბას იმავე მე-12 მუხლის საფუძველზე,რომელიც დადებულ უნდა იქნას ორივე ხელმომწერ მხარეს შორის.

## მუხლი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის დამყარებულ იქნება შესაძლო უმოკლეს ვადაში.მომავალში,ორივე ხელმომწერ მხარეს შორის კონსულების შესახებ სპეციალური შეთანხმების დადებამდე,რისთვისაც გატარებულ უნდა იქნას ღონისძიებები,მათი უფლება და მოვალეობა განისაზღვრება ამის თაობაზე თვითეულ ხელმომწერ სახელ-მწიფოში არსებული კანონმდებლობით.

## მუხლი XV.

გადაწყვეტა საზოგადოებრივ-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხასიათის საკითხებისა,რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ორ ხელმომწერ სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის ისევე როგორც ზოგიერთი ცალკეული საკითხების მოგვარება ორივე სახელმწიფოს შორის მოხდება სპეციალური შერეული რუსეთ-საქართველოს კომისიების მიერ,რომლებიც დაფუძნებულ იქნება  ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან შესაძლო უმოკლეს ვადაში. ამ კომისიების შემადგენლობა,უფლება და მოვალეობა დადგენილ იქნება სპეციალური განაწესით,რომელიც თვითეული კომისიისათვის დამტკიცებულ იქნება შეთანხმებით ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორი მხარის მიერ.

ამ კომისიების გამგებლობას,სხვათაშორის,დაექვემდებარება:

1.-სავაჭრო შეთანხმებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებათა შედგენა.

2.- არქივის ყოფილი ცენტრალური დაწესებულებებიდან გამოყოფის,სასა-მართლო საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციული დეპოზიტებისა და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების საკითხების გადაწყვეტა.

3.-ბათუმ-ბაქოს ნავთობსადენის იმ ნაწილის მფლობელობისა და მით სარ-გებლობის განსაზღვრა,რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით იმყოფებოდეს იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.ეს საკითხი შემდეგ განმტკიცებულ იქნება ორივე ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპე-ციალური შეთანხმებით.

## მუხლი XVI.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის თვით ამ ხელშეკრულების დადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტით მისი ხელმოწერის მომენტიდან და იგი არ ექვემდებარება სპეციალურ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლიარად 1920 წლის 7 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

## სპეციალური საიდუმლო დანართი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისადმი.

### მუხლი I.

საქართველო ვალდებულებას იღებს,-სცნოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და საქმიანობის უფლება,-კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობების(მათ შორის, ბეჭდვითი ორგანოების) უფლება.

ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება გატარებულ იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებები, როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციული ხასიათის, კერძო პირების მიმართაც, რომელთა საქმიანობა გამომდინარეობს კომუნისტური პროგრამის პროპაგანდა-აგიტაციისაგან ან კომუნისტურ პროგრამაზე დამყარებული პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ.

### მუხლი II.

ეს საიდუმლო დანართი შეადგენს რუსეთსა და საქართველოს შორის დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ეს დანართი ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის მისი ხელმოწერის ფაქტით შემდგომი რატიფიკაციის გარეშე.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად 1920 წლის 7 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

## რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე თანდართული დამატებითი შეთანხმება.

ქვემოთ ხელმომწერნი -რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა -საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის-ძე კარახანმა და საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის წარმომადგენელმა -საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძემ, მივიღეთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის თანხმობა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შინაარსზე,-შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი I.

სადავო ადგილების საკითხი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარზე და ზაქათალის ოლქში გადასაწყვეტად გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელშიც თანაბარი ოდენობით შევლენ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები და რომლის თავმჯდომარე იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების მიერ მიჩნეული იქნება თავიანთთვის სავალდებულოდ.

მუხლი II.

საქართველო და აზერბაიჯანი ამ შეთანხმების პირველ მუხლში აღძრულ საკითხზე შეთანხმების მიღებამდე აღარ შეიყვანენ ზაქათალის ოლქში ჯარის ახალ ნაწილებს იმათ გარდა, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ იქ ამ დამატებითი შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის.

მუხლი III.

ეს დამატებითი შეთანხმება განიხილება, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის მოსკოვში, 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის მისი ხელმოწერის ფაქტით და არ საჭიროებს შემდგომ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 12 მაისს.

გ. ურატაძე.　　　　ლ. კარახანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უფლებრივი ხასიათი

## რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებისა

ახლა შევეცდებით გავარკვიოთ 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი.

საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დებულებათა თანახმად, უკვე ორი პირველი მუხლი რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებისა ნათლად გამოხატავს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: პირველ მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: "რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან, - რუსეთი უსიტყვოთ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ."

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია: "ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას, - უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

ეს ორი მუხლი, ისე როგორც რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების ქთული რაობა, ნათელს ხდის, რომ 1920-ი წლის 7-ი მაისიდან რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და რუსეთისთვის საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. რუსეთ-საქართველოს ამ საზავო ხელშეკრულებით კი - ფაქტიურად და იურიდიულად - ყველა ამ თარიღამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც წარსულში დაიდო რუსეთსა და საქართველოს, ან საქართველოს რომელიმე ნაწილს შორის, გახდა - იურიდიული გამოთქმა რომ ვიხმაროთ - "ნული და უმნიშვნელო".

ამგვარად, 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა, როგორც იქნა, საქვეყნოდ აღიარა და იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რასაც 117-ი წლის განმავლობაში უარყოფდა მეფის რუსეთი.

მაგრამ, საუბედუროდ, - როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801-ი წელს მოახდინა საქართველოს ანექსია, საბჭოთა რუსეთმაც, ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920-ი წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად, იარაღის ძალით <u>დაიპყრო</u> დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920-ი წლის ხელშეკრულების მთელი დედა-აზრი, როცა მის ჯარებს უბრძანა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადალახვა; ეს მოხდა 1921 წლის 11-ც თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ხუთი მხრიდან ერთდროულად გადალახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა 1920-ი წლის ხელშეკრულების ცალკეული დებულებების დარღვევას მიჰყო ხელი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე. რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის ხელშეკრულების VI-ე მუხლში, მაგალითად, ნათქვამია:

"რუსეთი იღებს ვალდეუბლებას, - არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე, აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები".

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის ხელშეკრულების ამ VI-ე მუხლის <u>ყველა</u> დებულება დაარღვია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოზე თავდასხმის დაწყებამდე, ე.ი. 1921 წლის 11-ც თებერვლამდე:

რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით კარგად იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია ემზადებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის ჯერ კიდევ 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადებამდე; ხოლო ამ ხელშეკრულების დადების პერიოდში - ორჯონიკიძემ -, მართალია შეაჩერა საომარი მოქმედება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ლენინს გაუგზავნა დეპეშა -"ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ არ ვიზიარებ!" და თვით ლენინიც რომ სერგი ორჯონიკიძისა და სხვა ქართველი და არაქართველი ბოლშევიკების აზრის იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის საკითხში, ეს იქიდანაც მოსჩანს, რომ მასსა და მის მთავრობას 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შემდეგაც არასოდეს არც კი უცდია რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოების ტერიტორიაზე არ მიეცა მოქმედების უფლება ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დამხობა, როგორც ეს ნათქვამია აღნიშნულ VI-ე მუხლში.

ამდენად, საბჭოთა რუსეთმა ისევე ცალმხრივად დაარღვია 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, როგორც

მეფის რუსეთმა დაარღვია 1783-ი წლის 24-ი ივლისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ე.წ-ლი "ტრაქტატი". განსხვავება იურიდიულად იმაში გამოიხატება, რომ 1801-ლ წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია, ხოლო 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. ორივე აქტის შედეგი კი ერთნაირი იყო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: როგორც 1801-ლ წელს, ისევე 1921-ი წლის თებერვალ-მარტში - საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გაქრა საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ მნიშვნელოვანია იურიდიულად ის ფაქტიც, რომ საქართველო დღესაც, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის უკვე 60-ე წლისთავზე, იურიდიულად მაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, ვინაიდან საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას, ქართველ ხალხს, ვთქვათ, რეფერენდუმის გზით, - არასოდეს არ უცვნია. ამდენად, იურიდიულად, საქართველო მაშინვე უნდა გახდეს ფაქტიურადაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც კი ის ძალა, ის ძალადობის აქტი გაუქმდება, რომელმაც 1921 წლის თებერვალში "შეაჩერა", "დროებით შეწყვიტა" დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის - ძირითადი კანონის - მოქმედება.

ამდენად, მოსკოვის ბატონობას საქართველოში, დაწყებული 1921-ი წლის თებერვალ-მარტიდან არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ფაქტიურად საქართველო, როგორც სახელმწიფო, მოსკოვის ბატონობის ქვეშაა, მაგრამ იურიდიულად საქართველო დღესაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და ეს იურიდიული უფლება ელის მის ფაქტიურ განხორციელებას, ე.ი. უცხო ძალის მოხსნას საქართველოსა და ქართველ ხალხზე, რის შედეგად საქართველო ფაქტიურადაც აღადგენს მის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, როგორც ეს აღიარებულ იქნა თვით რუსეთის მიერაც 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებით.

კარლო ინასარიძე
1980 წლის 7 მაისი, მიუნხენი

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ავღნიშნავთ რა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების 80 წლისთავს, ჩამაფიქრებელია, რომ ანალოგიური საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას აჭიანურებს რუსეთის დუმა, ე.ი. პარლამენტი, თუმცა ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ 1994 წლის 3 თებერვალს ხელმოწერილ იქნა რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ. ვითომ რუსეთი 1921 წლის თებერვალ-მარტში დაპყრობილი დამოუკიდებელი საქართველოს დაქუცმაცებული სახელმწიფო ტერიტორიის აღიარებასაც გაურბის?..

- . - . - . - . - . - . -

# პატარა „ოქროს ხანა" 1918-1921



# საქართველო

## სამხარეო დაყოფა და ისტორიულ - არქიტექტურული ძეგლები






L'annexion du territoire de Géorgie par la Russie soviétique n' entraîna pas seulement la perte de son indépendance. Plus encore, selon le traité du 16 mars 1921, la Russie céda à la Turquie un territoire géorgien de 1215 km² les districts d'Artahani, d'Arthvini et d'Olthissi. Plus tard, sur la décision des commissions mixtes, l'Arménie reçut 3812 km² de territoire géorgien (district de Bortchalo) et l'Azérbaïjan - 3564 km² (district de Zakathala). En 1921, la Géorgie perdit 20 mille km² de son territoire.

La société internationale protesta vivement contre l'annexion et la soviétisation forcée de la Géorgie par la Russie. On accusa la Russie Soviétique d'avoir violé le traité de 1920 et les normes du droit international. Ce soutien moral et politique encouragea le gouvernement géorgien en exil qui dirigeait, depuis la France, le mouvement de libération nationale du peuple géorgien.

# ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

### ყაზბეგ გაიტუკაევის სასოწარკვეთილება

ჩეჩნეთის მწერალთა კავშირის თავჯდომარე - ყაზბეგ გაიტუკაევის განცხადება: "ჩვენ, იჩქერიელი მწერლები, მივმართავთ კოლეგებს მთელს მსოფლიოში, პლანეტის ყველა პატიოსან ადამიანს, ხმა აიმაღლონ ჩეჩენი ხალხის მორიგი გენოციდის წინააღმდეგ..."

სრ-1.11.1999 წ.

### "თეთრი ლეგიონი"

"ბევრი რამ დავბეჭდე და კვლავაც ვბეჭდავ პარტიზანული გაერთიანება "თეთრი ლეგიონის" შესახებ გაზეთ "ქუთაისში", - წერს გაზეთ "ქუთაისის" მთავარი რედაქტორი და "თეთრი ლეგიონის" წევრი ბატონი ალექსანდრე შენგელია, და განაგრძობს:"ჩვენ გამოვაქვეყნეთ პირველად, თუ როგორ იკისრა "თეთრმა ლეგიონმა" პასუხისმგებლობა არძინბას ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა აქციისათვის".

"თეთრი ლეგიონის" მეთაურია, აწ უკვე ბრძოლებში არაერთხელ დაჭრილი - ზურაბ სამუშია.

სს-31.10.1999 წ.

### საქართველოს სასაზღვრო დაცვა

1999 წლის ოქტომბერში, რუსეთმა თავისი უკანასკნელი სასაზღვრო ნაწილები გაიყვანა საქართველოდან. ამით საქართველოს სასაზღვრო დაცვა უკვე მთლიანად საქართველოს სასაზღვრო ჯარების კონტროლისქვეშაა.

ჩვენს დედაქალაქში - თბილისში - დარჩა კიდევ ერთი ჯგუფი რუსეთის ოფიცრებისა, რომლებიც კოორდინაციას აწარმოებენ საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო დაცვის ნაწილებს შორის.

ბ.ქ.ს.ცნობის ფურცელი: ნომ.11-12,1999 წ.

### პუტინი და ჩეჩნეთი

ინტერვიუში, რომელიც ვლადიმერ პუტინმა რუსულ გაზეთ "კომერსანტს" მისცა, ჩეჩნების მუქარის შესახებ, რომ ტერორისტული აქტებია მოსალოდნელი რუსეთის ქალაქებში, - უპასუხა:

"ამგვარი მუქარის არ უნდა გვეშინოდეს. ეს არის ისეთი რამ როგორც ძაღლთან: თუ ძაღლი გრძნობს, რომ მისი გეშინია, ის აუცილებლად გიკბენს". ახსენა სეპარატისტები:"აქ არსებობს ერთი საშუალება, შეტევა. უნდა მოასწრო დარტყმა, მაგრამ ისე, რომ მტერი ველარ უნდა წამოდგეს". "ისინი, რომლებიც იარაღს მოკიდებს ხელს, ჩვენ გავანადგურებთ მათ".

მოსკოვს - დასძინა პუტინმა - არ აქვს მიზნად დასახული ჩეჩნეთის ხალხში ჩანერგოს დამარცხებულის გრძნობა. ჩეჩნები არიან "არა დამარცხებული, არ... გათავისუფლებული ხალხი!"

აჟანს-პრანს-პრესი, 5.3.2000 წ.

### ვაი, ქართველთა წინააღმდეგ შეთქმულო ქართველებო!..

"მტერი გავახარეთ...ცოდვის ბორბალი დავატრიალეთ. ერთმანეთს დავერიეთ, ძმა ძმაზე ხელი აღმართა! ვაი, ქართველთა წინააღმდეგ შეთქმულო ქართველებო!"

ნუთუ აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტების სარკასტული [illegible] ობიექტი გავხდით?.. ოსი ექსტრემისტები შიდა ქართლში,-"ტკბებოდნენ" ქართველების ერთმანეთის წინააღმდეგ აღმართული იარაღის ჩხარუნით, - ამბობ-

"აცალე, ქართველები თვითონ ამოხოცავენ ერთმანეთს!"

სრ-14.10.1999 წ.

## საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის

## წევრია

1999 წლის 6 ოქტომბერს, ჟენევაში გაიმართა მსოფლიო სასაჭრო ორგანიზაციის სხდომა, რომელზედაც საქართველო მიღებულ იქნა ამ ორგანიზაციის წევრად. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებულია 135 ქვეყანა, რომელთა ბაზარ უკვე გახსნილია საქართველოსათვისაც.

სრ-7.10.1999 წ.

## საქართველოს ტელევიზია ევრაზიის

## სივრცეში

1999 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემები გავიდა საქართველოს სივრცეს და, სატელიტური გადაცემის მეშვეობით, - ევროპის და აზიის ქვეყნებსაც მისწვდა.

ამგვარად, 7 ოქტომბერს, 1999 წელს, 18 საათსა და 30 წუთზე საინფორმა. პროგრამა "მოამბე" იხილა ტელემაყურებლებმა ბერლინშიც თუ პარიზშიც.

სრ-8.10.1999 წ.

## აშშ-ს ევროპული ძალების ოფისი საქართველოში

1999 წლის 13 სექტემბერს თბილისში გაიხსნა აშშ ევროპული ძალების მთავარსარდლობის ოფისი, რომლის მიზანია აშშ-სა და საქართველოს შორის მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა.

სრ-13.10.1999 წ.

## ბაგრატ მესამე(960 -1014 წწ.)

## "აფხაზთა და ქართველთა მეფე" ერთიანი საქართველოისა

"ბაგრატ III-ის დროს აგებულ იქნა ბედიის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ნიკორწმინდა და სხვა. მე-11 საუკუნის ქართველი მემატიანე მას "დიდ მეფეს" უწოდებს.

"აქ, კოლხეთში, ბედიის ტაძარში განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე. ამ ტაძარს წელს(1999 წელი) ათასი წელი უსრულდება. სამწუხაროდ ჩვენ იქ ახლა ვერ მივდივართ, მაგრამ მოვა დრო მივალთ და ქედს მოვიხრით მისი დამსახურების წინაშე. ეს ის ბაგრატ მესამეა, ქუთაისში ბაგრატის ტაძარი რომ ააგო, რომლის აღორძინება, ძველი სახით აღდგენა ჩვენი თაობის მოვალეობად ვაქციეთ."("ს.რ.",30.10.1999 წ.).

ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ფუძემდებელი - ბაგრატ III-ე - გარდაიცვალა ტაოში, 1014 წელს და დაკრძალულია ბედიის მონასტერში.

## "დიდი აბრეშუმის გზა"

ედუარდ შევარდნაძე მის ახლახან გამოცემულ(1999 წ.) წიგნში - "დიდი აბრეშუმის გზა" - აყალიბებს ევრაზიის დერეფნის ახლებურ ხედვას.

"ევროპასა და აზიას შორის,ახალი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალის, ქსელის შექმნის შედეგად,მნიშვნელოვნად შემოკლდება სავაჭრო გზა. ამასთან, მას პოლიტიკური ასპარეზიც აქვს - რეგიონის სახელმწიფოები რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით მიიღებენ საერთაშორისო ბაზარზე გასვლის საშუალებას. ეს, თავის მხრივ, შეამცირებს ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაზე რუსეთის გავლენის შესაძლებლობებს".

პაატა კოღუაშვილი(სქ-29.10.1999 წ.).

---

## საფრანგეთის ინტელიგენცია აფრთხილებს ვ. პუტინს

საფრანგეთის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ბრალი დადო ვლადიმერ პუტინს ნაციონალიზმის გაღვივებაში რუსეთში და დასავლეთის მთავრობებს უმოქმედობაში.

პუტინი, წერენ ფრანგი ინტელიგენციის ეს ჯგუფი, აგრძელებს სტალინის ნამოქმედარს, რომლის დროს პირისაგან მიწისა აღგავა ქალაქი გროზნი და უზეღურებას გადარჩენილი სამოქალაქო მოსახლეობა და მებრძოლები ტერორის მსხვერპლი გახდა და ხდება. ჩეჩნეთის სოფლები ნაცარტუტადაა გადაქცეული; უცხოეთის ექიმებს კი საშუალება არ აძლევს რუსეთის სარდლობამდახმარება გაუწიონ გაწამებულ სამოქალაქო მოსახლეობას.
რუსეთის ჯარის მეთაურობამ შექმნა ე.წ-ლი "გაწმენდის ბანაკები", რომელშიც ჩეჩნებს აწამებენ და ქალებს აუპატიურებენ. ამგვარი მოქმედების შედეგად, მოითხოვენ ფრანგი ინტელიგენციის ჯგუფი სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისაგან.

ზც-13.3.2000 წ.

## "მეა კულპა"="მონანიება"="აღიარება ცოდვისა"

რომის პაპმა იოანე-პავლე II-რემ, კვირას, 12 მარტს, 1999 წელს, მოინანია ყველა ცოდვა და დანაშაული კათოლიკური ეკლესიისა, რომლებიც ჩადენილ იქნა მის წინამორბედთა მიერ გასული ორი-ათასი წლის განმავლობაში.

"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პიროვნულად დამნაშავე არ ვართ", თქვა რომის პაპმა თავის ქადაგებაში, რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში. მან ღმერთს სთხოვა პატიება მის წინამორბედთა ცოდვებისა.

აპ-12.3.2000 წ.

## სალმან რადუევის ტყვედ აყვანა

ერთერთი მთავარი ე.წ-ლი "საველე კომანდირი" სალმან რადუევი რუსეთის "სპეციალურმა რაზმმა" აიყვანა ტყვედ, 12 მარტს, 2000 წელს, ჩეჩნეთის სამხრეთ რეგიონში. სალმან რადუევი, "საველე კომანდირების" შამილ ბასაევის თუ არაბი ქათაბის გვერდით, იყო დაუძინებელი მტერი რუსეთის ჯარებისა კავკასიის ამ რეგიონში, თუმცა შამილ ბასაევმა, ჯერ რუსეთთან ერთად იბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა."

როგორც მოსკოვი ამბობს, "სალმან რადუევი არის ერთერთი ყველაზე უფრო საშინელი ბანდიტების მეთაური", და ვლადიმერ პუტინის სიტყვებით, იგი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს პრეზიდენტის ატენტატში და მრავალი მატარებლის თავდასხმაში.

სალმან რადუევი დაიბადა 1969 წელს და გახდა ჩეჩნეთის არმიის ერთერთი მთავარი სარდალი; იგი გადაურჩა მრავალ ატენტატს და ხშირად დაღუპულად იქნა გამოცხადებული. ყველაზე უფრო ცნობილი გახდა მის მიერ დაღესტანში, ქალაქ კიზლიარის საავადმყოფოზე თავდასხმა, რომლის დროს აიყვანა ორიათასი მძევალი. როცა მან ისევ ჩეჩნეთში დაბრუნება უნდოდა ასი მძევლით, რუსის ჯარმა მას ალყა შემოარტყა სოფელ პერვომაისკოეში, მაგრამ რადუევმა შესძლო ალყის გარღვევა.

ზც-14.3.2000 წ.

## "უფროსი ძმის საწამლავი"

გერმანიის სახელმოხვეჭილი ყოველკვირეული ჟურნალი -"შპიგელ" - თავის 2000 წლის მერვე ნომერში ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით საქართველოში, სხვათაშორის, წერს:

"კავკასიის რესპუბლიკა - საქართველო - იმყოფება რუსეთის დაწოლის მდგომარეობაში; მოსკოვი ბრალს დებს მას ჩეჩნეთის აჯანყებულების მხარდაჭერაში, რაც არის იმის მიზეზი, რომ რუსეთს ესაჭიროება ეს ქვეყანა როგორც ფორპოსტი და აფერხებს მისი სამხედრო ბაზების დაშლას".
"საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალი, გენერალი ვასილი ჩხეიძე'აბსურდულს' უწოდებს ყველა ამგვარ დეზინფორმაციას და თვითდარწმუნებული ამბობს:"დამოუკიდებელი საქართველო ამგვარ დამინებას უკუაგდებს". ეს გასაკვირიც არ არის! -

წერს "შპიგელი": "ჩვენი 6500 ჯარისკაციანი ბრიგადა, ისევე როგორც საქართველოს ახალგაზრდა არმია, ვაშინგტონის დახმარებით იქმნება; და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თბილისში ღიად განაცხადა, რომ "ამერიკა დაეხმარება საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის" სფეროში.

"ამერიკელები გრძნობენ თავიანთ თავს ახალი წესრიგის ძალად კავკასიაში, და ზბიგნევ ბჟეზინსკი, თეთრი სახლის მრჩეველი ვაშინგტონში უშიშროების საკითხი, არის ამგვარი პოლიტიკის დამცველი".

"რუსეთის ყველა ოთხი ბაზა საქართველოში განლაგებულია კრიზისის რეგიონებში - თვით საჰაერო ძალების აეროდრომის ვაზიანის ჩათვლით, რომელიც თბილისთან ახლოსაა განლაგებული". რუსეთის სამხედრო ბაზა - ახალქალაქი - კი განლაგებულია, ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეზე, ე.წ.-ლ "ქართულ ციმბირში", რომელიც შეიქმნა რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ეს დროს, თურქეთის საზღვართან, სადაც ზამთარი შვიდი თვე გრძელდება. ამ სამხედრო ბაზის, ალბათ, სამი-ათას ჯარისკაციდან ორი-მესამედი ადგილობრივი მოსახლეობიდანაა, რომელთა უმრავლესობა სომხ...

"სამხედრო ბაზა სამხრეთიდან ალკვეთილი არ არის", - გვამცნობს პლაკატი ერმოლოვის მოედანზე, ერმოლოვისა, რომელიც იყო მეფის რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი და ცნობილია როგორც ჩეჩნების ტერორის ორგანიზატორი მე-19 საუკუნეში. ამ ბაზიდან უკვე "40 მოხალისე" გაგზავნილ იქნა ჩეჩნეთში, როგორც გ- ამზო კაპიტანმა ოჰანეს მჩაიანმა; მათ შორის არიან სომხები და ქართველები, რომლებსაც დაუყოვნებლივ მისცეს რუსეთის ქვეშევრდომობა და შეპირდნენ, რომ ყოველთვიურად ჩეჩნეთის ომში მიიღებენ 1000 მანეთს: რუსეთიც პატივს სცემს ინტერნაციონალურ დაქირავებულ ჯარისკაცებს, - შენიშნავს ირონიულად გაზეთი, და დასძენს:

"ეს ბაზა არის ბომბი...ყაზარმები სავსეა უკვე დიდი ხანია გადაყენებული ოფიცრებისაგან, რომლებსაც რუსეთში ბინებით ვერ აძარაგებენ"; და კაპიტანი ღიმილით ამბობს: "ისინი სამუდამოდ დარჩებიან აქ, ისე როგორც ჩვენი ...ლებელი იარაღის საწყობები".

ქრისტიან ნეეფი ("შპ....", 8-2000 წ.)

## ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში

ევროპის საბჭოს ცნობით სტრასბურგიდან, საქართველოში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა. საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება მოუხდინა ადამიანთა უფლებების კონვენციას, ნომერ ექვსს, რაც ძალაში შედის 2000 წლის 1 მაისს. (ეპდ-14.4.2...

შუა- და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებიც კომუნისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ, წერილობით ვალდებულება აიღეს თავისთავზე, რომ სიკვდილით დასჯა თავიანთ კონსტიტუციებში გაეუქმებიათ.

ავღნიშნავთ აგრეთვე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-19 მუხლი ლაკონურად განსაზღვრავდა: "სიკვდილით დასჯა გაუქმებულია" სამწუხაროა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ეს მუხლი არ იქნა შეტანილი საქართველოს კონსტიტუციის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია კი მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ 1921 წლის 21 აგვისტოს.

## მოსკოვი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩეჩნეთთან

"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" ცნობით მოსკოვიდან (14.4.2000 წ.), მოსკოვი უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს ჩეჩნეთის აჯანყებულების ხელმძღვანელობასთან, რომ ომს ბოლო მოეღოს ჩეჩნეთში.

ზდ-14.4.2000 წ.

## ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის განცხადება

"ასოშიეიტედ პრესის" სააგენტოს ცნობით, იმ დროს, როცა ჩეჩნეთის რამდენიმე რეგიონში რუსეთისა და ჩეჩნეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ბრძოლები მიმდინარეობს, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა - ასლან მასხადოვმა - რადიოსადგურ "დოიჩე-ველესთან" საუბრისას ტელეფონით, განაცხადა, რომ იგი სასტიკად გმობს ჩეჩნელი საველე კომანდირის - შამილ ბასაევის - პროვოკაციულ მოქმედებას დაღესტანში, რომელმაც გამოიწვია რუსეთის ჯარების შეჭრა ჩეჩნეთში.

აპ-13.4.2000 წ.

## გაზეთი "ვრემია" საქართველოს შესახებ

მოსკოვში გამომავალი ყოველდღიური გაზეთი "ვრემია" ეხება რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხს საქართველოში, და, სხვათა-შორის, წერს:

"თუ მოსკოვი მის სამხედრო ბაზებს შეამცირებს საქართველოში, მაშინ დაკარგავს მის წონას ამიერკავკასიაში. საქართველოსათვის ეს სასარგებლო მოლაპარაკებები ამ საკითხში გააძლიერს. საქართველოს ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ნატოში გაწევრიანება. რა თქმა უნდა, საქართველოს არ შეუძლია ამ მიზნის განხორციელება, სანამ რუსეთის ჯარი დგას მის ტერიტორიაზე. თბილისისაგან კი დასავლეთი მოითხოვს ხსრაფ მოქმედებას. ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავს ამიერკავკასიას უკვე დიდი ხანია მისი ინტერესების სფეროდ, მეტად დაინტერესებულ მისი სამხედრო ძალების არსებობით ამ რეგიონში".

## ამნისტია საქართველოში

როგორც "აჟანს-ფრანს-პრესის" სააგენტო თბილისიდან იტყობინება, საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ - მისი პრეზიდენტად ისევ არჩევის ერთი კვირის შემდეგ, - გამოაცხადა ამნისტია 279 პოლიტიკური პატიმრებისა, როგორც "ნიშანი სამოქალაქო შერიგებისა". ამნისტირებულთა შორისაა ჯაბა იოსელიანი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 11-ი წელი პატიმრობა პრეზიდენტზე თავდასხმის ბრალდებით 1995 წელს. ამნისტირებულია აგრეთვე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მომხრეები.

## ასლან მასხადოვის ბრძანება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ

ასლან მასხადოვმა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, 21 აპრილს გასცა ბრძანება შეწყვეტილ იქნას დროებით საომარი მოქმედება რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ჩეჩნეთში. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კი განაცხადა მზადყოფნა მოლაპარაკება აწარმოოს მასხადოვთან თუ იგი დაიწყებს ბრძოლას, როგორც პუტინი ამბობს, აჯანყებულების წინააღმდეგ.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მასხადოვმა, რამდენიმე-კვირის წინათ გარიყა საველე კომენდანტი შამილ ბასაევი და მოხალისეები არაბული ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ავღანეთიდან, რომლებიც ჩეჩნეთში იბრძვიან რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

მოსკოვი მოითხოვს მასხადოვმა გადასცეს რუსეთის სარდლობას საველე კომანდანტები და გაანთავისუფლოს ყველა მძევალი. ამგვარად, კრემლის პოზიცია რჩება უცვლელი, - დასძენს გერმანელი კორესპონდენტი თომას ურბანი.

- . - . - . - . -

## დ ი მ ი ტ რ ი   გ უ ლ ი ა

### აფხაზი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე აფხაზების და ქართველების შესახებ:

'ჩვენ, - წერს დიმიტრი გულია, - ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია; აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია''.

დიმიტრი გულია

# ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## დედათა საყოველთაო მოგონების დღე

„General Memorial Day of all Mothers"

1.

უცხოეთში მცხოვრები ქართველობა, რა თქმა უნდა, დღესასწაულობენ აგრეთვე იმ ღირსშესანიშნავ დღესასწაულებს, რომლებსაც აღნიშნავს იმ ქვეყნის მოსახლეობა, რომელთა შორის ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ. ასეთი ერთერთი დღესასწაულია "დედათა საერთო მოგონების დღე", ე.ი. "დედის დღესასწაული", რომელიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 20-ე საუკუნის დასაწყისში ამერიკაში წარმოიშვა ქალთა მოძრაობა, რომელმაც მიზნად დაისახა დედების უანგარო შრომის აღნიშვნა შვილების აღზრდისა და, საერთოდ, ოჯახის სფეროში წელიწადის ერთ დღეს, რაც ელვის სისწრაფით მოედო მთელ ამერიკას, რის შედეგად აშშ-ს კონგრესმა, ყოველი წლის 9 მაისი გამოაცხადა "დედათა საერთო მოგონების დღედ", 1914 წელს.

2.

ასევე სწრაფად გავრცელდა "დედათა საერთო მოგონების დღესასწაული" ევროპისა და მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში, რის შედეგად 9 მაისი გახდა "დედათა დღედ" მსოფლიო მასშტაბით, რომლის აღნიშვნა, გასაგებია, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ხდება, თუმცა უმთავრესად შვილები ყვავილების თაიგულებით გამოხატავენ მათ პატივისცემას დედებისადმი.

3.

"დედების დღესასწაულს" აღნიშნავენ აგრეთვე კონცერტების, თეატრალური წარმოდგენების, კინოფილმების თუ სხვა სახის გართობათა მოწყობით, რომლის დროს შვილები მათ მადლიერებას გამოხატავენ დედებისადმი. ამგვარი ოჯახური თუ საზოგადოებრივი თავყრილობა თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია შესაფერისად გაწყობილ სუფრასთან, რომლის დროს შვილები დედებს უმასპინძლდებიან ხოლმე ყავით, ჩაით თუ ნამცხვრებით; საჩუქრებში კი მთავარია სხვადასხვა სახის თვითშექმნილი ნახელავი, რომლებსაც ბავშვები ამზადებენ დედებისათვის და ამით მათ მადლიერებას გამოთქვამენ მშობელი დედისადმი თუ აღმზრდელებისადმი.

4.

სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ დედათა ამგვარი პატივისცემის დღესასწაული ფეხმოკიდებულია არა მარტო უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას შორის, არამედ საქართველოშიდაც.

"დედის დღის" აღნიშვნასთან დაკავშირებით, აქვე ვაქვეყნებთ ჩვენი მწერლისა და მოაზროვნის - გრიგოლ რობაქიძის - ლექსს, რომელიც მან შექმნა ლტოლვილობაში. აი, ეს ლექსი:

### ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.
შენ მეგონე: გულმა ცემას უხშირა.
წამოვვარდი. მეეცხოვა არ იყავ
და საგულემ გული ცივად გარიყა.
...

შენი პაწა სიდონია, თმათაფლა,
მეკითხება შენზე ყველას უმალა.
მალე მოვა-ვეუბნები ხმადაბლა,
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა ვუმალავ.
...

უცხო ჩიტი მოფრინდება: გნოლია.
მიღურტულებს რაღაც ამბავს უცნობად.
ნუგეშინით მაიმედებს, მგონია,
ხოლო გული მაინც სხვას მეუბნება.
...

ეგებ გცივა, შვილო, უცხო არეში:
ყინვებია თურმე მანდ ნამეტნავი.
რომ ვიცოდე, თუა კიდევ ნეტავი
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.
...

ან თუ გდიხარ, შვილო, სადმე ერდომილი.
დაგტეხია მავალ თავს უბედობა.
ვინ ვიგულეო შენი კეთილმდომელი,
რომ ლბუნებით გაგიწიოს დედობა.

გადაგისვას ნაზი ხელი ყურიმალთან,
მოგასწუროს სხივი ნატერის-თვალისა,
ირემივით მხრებში რომ გაიმართო
და მზეს შეხედო ამომავალს ხალისად.
...

რა ვქნათ, შვილო, არ არის მეკომური,
არ უყვედრიდეს ეხლა ბედის-წერასა.
ნაღვლითაა ყველგან სავსე გომური,
რომ აკლია ვაჟი მუდრო კერასა.
•••
ცრემლის დენით დამრეტილი დედები
ვეფინებით თმაგაშლილი ტყვეელთა:
საქართველოს მიწის საკურთხეველთან
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.
•••

ბედრუბაში დათუთქული გულები
ისმებიან ერთი გულის ცემადა –
ქართველ დედის ხელით დანერგულები
ზორვით ვაგრძობთ წმიდა გადმოცემათა.
•••
დედაღვთისა იყოს ამის მოწმედა –
ხართ გამძლენი ვით ულპობი ურთიე...
გადაეცი შვილო, თანამოძმეთა:
თქვენთან მოდის ჩვენი ლოცვა - კურთხევა

გრიგოლ რობაქიძე

ქართველი დედის "ჰიმნად" კი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი "მთის გენიოსის" – ვაჟა-ფშაველას გამოთქმაში და ლექსი:

"იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო".

და განა ეს ჰიმნი არ არის არა მარტო დედებისთვის?!..

"შენ რომ არ გვყავდეთ ქალებო,
რა იქნებოდა ქვეყანა,
ვისაც რა უნდა ისა თქვას,
მე კი გადარებთ მზესთანა".

კ.ი., პარიზი, 2000 წლის 9 მაისი

## გია ყანჩელის მუსიკა ზალცბურგში

"ტრადიცია არის წინამორბედთა თანაზიარობის უფლება", წერს მუსიკის კრიტიკოსი კლემენს პროკოპი 2000 წლის 29 თებერვლის გერმანიის დიდ გაზეთ "ზიუდდოიჩე ცაიტუნგში" გია ყანჩელის "ასპექტის" ფესტივალის გამო ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში; და განაგრძობს:
გია ყანჩელი ქმნის "ახალ მუსიკას", რომელსაც ძველიდან ასაზრდოებს. "უსასრულო სულის მოთქმას ქმნის იგი მელოდიებიდან", რის შედეგადმისი მუსიკა "ამოუწურავი ხასიათისაა". და ზალცბურგის "ასპექტის" ფესტივალი მიეძღვნა ერთი კვირის განმავლობაში – 20-დან 27 თებერვლამდე – გია ყანჩელის შემოქმედებას, რომლის დროს არა მარტო კონცერტები, არამედ სემინარებიც ჩატარდა მოცარტის ქალაქში.

ყოველი ხელოვანი, გია ყანჩელის აზრით, – ემორჩილება გენეტიკურ კოდს, რაც მის ენას განსაზღვრავს. ამას ემატება შემდეგ ბიოგრაფიული და გეოგრაფიული, რაც ცხოვრებას კონტურებს ანიჭებს. ბავშვობა გია ყანჩელმა თბილისში გაატარა; მამა იყო ექიმი; დედამ აღზარდა შვილები "შეურყეველი რწმენით", რომ ჰიტლერი ბოროტი და სტალინი კეთილია.

გია ყანჩელმა პირველად "გამოიღვიძა" სტალინის სიკვდილის შემდეგ. ბავშვობაშივე გაიტაცა იგი ჯაზმა, რომლის დროს გლენ მილერსა და დიუკ ელინგტონს რადიოთი უსმენდა. იყო ეს კარგი, რომ ყველაფერი ჯაზის დაიწყო ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის და მალერის გარეშე? – აყენებს კითხვას გია ყანჩელი და პასუხობს: ძნელია ამის თქმა ამდენი ხნის შემდეგ. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო, თუმცა ჰინდემიტი მოსმენილი არ ჰქონდა; და როც მან მოისმინა სტრავინსკი, ბულეზი, შტოკჰაუზენი, შოსტაკოვიჩი, კარაიანი, ეს იყო დიდი შოკი. "ეს იყო ოკეანე", ამბობს ყანჩელი, და განმარტავს: "ადამიანს მიაქვს თან უსაჭიროესი და ცდილობს, გაცუროს ნაპირამდე". სამი წლის შემდეგ, როგორც იქნა, შეძლო მან "ცურვა", მაგრამ ხმელეთს დღემდე ვერ მიაღწია. "ზატონდება ორჭოფობა", და მუსიკის შექმნა ხდება ტანჯვა, არა: ტანჯვაზე მეტი. შეიძლება იქიდან გამომდინარეობს ეს, რომ გია ყანჩელის მუსიკა ხშირად ტანჯვასა და წამებას აკავშირებს სიბნელესა და სულიერ გასაჭირთან, რომლის დროს – მისი კმაყოფილებაც ამჟღავნებს ამას: ის არის ბედნიერი ადამიანი.

1991 წლიდან, ჯერ, გია ყანჩელი ბერლინში ცხოვრობდა; შემდეგ კი მოხვდა ანტვერპენში, სადაც მისი სამუშაო ოთახი მორთულია მეგობრებისა და კოლეგების ფოტო-სურათებით. მას სურს, ამბობს გია ყანჩელი, – მისი იდეები ჟღერადობით, ბგერადობით, მეთოდურად და კონსტრუქციულად გამოხატოს. სურს მუსიკა შექმნას, რომელიც ორგანიულად დუმილისაგან იბადება, რომლის აღწერა შეუძლებელია; სულ დიდი შეიძლება მისი შეგრძნობა.

ტრადიცია, ამბობს ის, სწორედ არ არის ცალიერი ცნება: ტრადიცია არის წინამორბედთა თანაზიარობის უფლება".

კლემენს პროკოპი, "ზ.ც.", 29.2.2000 წ.

# პააჭა ბურჭულაძე - "მეორე შალიაპინი"

**პაატა ბურჭულაძე - 'მეორე შალიაპინი'**

საქართველოში დაიბადა, როგორც ეს მსოფლიოში ცნობილმა დირიჟორმა ჰერბერტ ფონ კარაიანმა ინგლისის დიდ გაზეთ 'ტაიმს' უამბო, - 'მეორე შალია-პინი' - პაატა ბურჭულაძე, რომლისთვისაც, როგორც საუკეთესო მომღერალი-სთვის - უკვე დიდი ხანია ღიაა ისეთი დიდი საოპერო თეატრების კარები, როგორიცაა 'ლა სკალა',მილანოში(იტალია), 'მეტროპოლიტან ოპერა' ნიუ-იორკში, 'ბასტილიის ოპერა' პარიზში თუ ლონდონის ოპერაში; და, რა თქმა უნდა, თბილი-სის ოპერაში, რომელსაც უკვე 125 წლის ტრადიცია გააჩნია; და ჰერბერტ ფონ კარაინმა შემთხვევით კი არ თქვა, რომ საქართველომ 'მეორე შალიაპინი' და-დაო, არამედ იმიტომ, რომ თბილისში დაიწყო შალიაპინმა მისი მსოფლიო მასშტა-ბის კარიერა; და, რა გასაკვირია, რომ თვით პაატა ბურჭულაძე ჰერბერტ ფონ კარაიანის აღნიშნული კომპლიმენტით მეტად ამაყობს.

და,წარმოიდგინეთ, 'მეორე შალიაპინიც' კი ისევ-და-ისევ იძულებულია განაცხადოს, რომ 'მე რუსი არ ვარ; მე ვარ ქართველი'.

თვით რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კი პაატა ბურჭულაძეს მიან-ჭა 'მემკვიდრეობითი თავადობა', რისთვისაც სასულიერო პირები ჩავიდნენ ვე-ნაში, რომ შესაფერისი ცერემონიალით მიენიჭებინათ ეს საპატიო წოდება.

მართალია, როგორც თვით პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, თავადობის საპატიო წოდებასთან ერთად მისთვის სასახლე და ადგილ-მამულები არ აჩუქა რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, მაგრამ, როგორც პაატა ამბობს, -'მე მივიღე ' დალი და ღვთის წყალობა, და ეს საკმარისიაო'.

ჟურნალისტი, რომელიც ამ ცერემონიას დაესწრო, ირონიულად შენიშნავს: 'სასახლე, ბოლოს და ბოლოს, შეუძლია მას თვითონაც იყიდოს!'

მარგოტ ვებერი('დას მაგაცინ',1-2,1999 წელი)

## სიმონ ბერეჟიანი

# მგოსანი

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს. და ყოველ
ღამით,
როს დახსნდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით,
ბალღამით,
რომ საუკუნეგრძო საშინელი შურისძიება;
რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს
ტყვიად,
რითმამ დასტყორცნოს მკვირცხლი აზრი ლექსში
ყუმბარად;

და თუ ღიმილი ზეციური კიდეც მატყუა,
არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიცინი მარად!
რას ვაქცევ სიტყვას ბაგროვანს ანთილს მისხლით;
როს გარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დავწრუწე ნოყიერი ქართული სისხლი,
კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!
და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ,
[illegible];

შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!
თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე.
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობსთ ჩემი ბუკ-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ვით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!
ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მწყურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
და მტრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!

- . - . - . -

# ეკონომიკური ცხოვრება

## მსოფლიო ეკონომიკის გიგანტები

მსოფლიო ეკონომკის გიგანტებია ე.წ-ლი "ევროს ქვეყანა", ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია. ეს სამი სახალხო მეურნეობის სივრცე ბატონობს მსოფლიოს ეკონომიკაში ორიათასი წლის დასასრულში. მათ შორის პირველ ადგილზეა "ევროს" ვალუტის ქვეყნები, რომელთა ბაზაა გერმანია-საფრანგეთი, მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო მესამე ადგილზეა- იაპონია. ამ სამი ეკონომიკური სივრცეების სტატისტიკური თანაფარდობა ასე გამოიყურება:

| ვალუტა | მოსახლეობა | პროდუქცია თითოეულ სულზე | ექსპორტი |
|---|---|---|---|
| "ევრო", ე.ი. ბელგია, გერმანია, ფინეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ავსტრია, პორტუგალია, ესპანეთი................. | -291 მილიონი სული | 10 890 მარკა | 20 პროცენტი. |
| ამერიკის შეერთებული შტატები................. | -269 " " | 13 450 " | 16 პროცენტი. |
| იაპონია................. | -126 " " | 7 290 " | 10 პროცენტი. |

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
22 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,037 |
| გერმანული მარკა | | 1,059 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,370 |
| ევრო | | 2,072 |
| რუსული რუბლი | | 0,071 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,037 |

### საშუალო საარსებო მინიმუმი 97 ლარია

1999 წლის აგვისტოში საქართველოს ქალაქების გასაშუალოებული ფასების მიხედვით საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 110,6 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის - 97,1 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახისათვის - 192,5 ლარი.

საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი
'ს.რ.', 25.9.1999 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველთა ცხოვრება უცხოეთში

## მისალმება

## საქართველოდან უცხოეთში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, საქართველოს იმედო და მომავალო, თქვენ ჩემი შვილიშვილების ასაკისანი ხართ და ნება მიბოძეთ იმ სითბოთი, გულითადობით და სიყვარულით გელაპარაკოთ, რომლითაც ჩემს შვილიშვილებს ველაპარაკები, ისევე მოგეფეროთ, ისევე მოგიფრთხილდეთ, ისევე გირჩიოთ რამე, თუკი მიიღებთ ჩემს რჩევას.

თქვენ ახლა უცხოეთში ხართ, საკუთარ ოჯახებს, ნათესავებსა და მეგობრებს მოწყვეტილი, ვიცი, ყოველი სიტყვა საქართველოდან, ყოველი შეხმიანება თქვენთვის მნიშვნელოვანია და პირველი, რაც მინდა გითხრათ, ისაა, რომ არ დაივიწყოთ თქვენი ქვეყანა და თქვენი ხალხი. თქვენ მარტო თქვენს ოჯახებს კი არა, საქართველოს სჭირდებით. ყოველი წუთი და ყოველი წამი სწავლას მოანდომეთ, ისწავლეთ საქმე, ისწავლეთ მეცნიერება, ისწავლეთ ცხოვრება — ეს ყოველივე საქართველოს სჭირდება.

ოცდამეერთე საუკუნის საქართველო მათთან ერთად უნდა ავაშენოთ და ფეხზე დავაყენოთ, ვინც სამშობლოში გელით. სწორედ თქვენმა თაობამ უნდა გააძლიეროს ქვეყანა, თქვენმა თაობამ უნდა გააგრძელოს წინაპართა დიდი ტრადიციები, თქვენმა თაობამ უნდა გაამრავლოს საქართველო და სიყვარული გაამეფოს იმ ქვეყანაში, სადაც დღეს ხშირად სიძულვილი მძლავრობს.

თქვენ გელიან აქ — თქვენი მშობლები, თქვენი ნათესავები, თქვენი მეგობრები, საქართველო გელით იმედითა და სიყვარულით.

არ დაგავიწყდეთ — თქვენ საქართველოსი ხართ და საქართველო თქვენია.

ედუარდ შევარდნაძე.

"ს.რ."-14.10.1999 წ.

## ბატონ ასლან აბაშიძის ვიზიტი ლევილში

1.

სრულიად მოულოდნელად ლევილის ქართული მამული გვესტუმრა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე მრავალრიცხოვანი მხლებლებით, რაც დიდი სიურპრიზი იყო ლევილის ქართულ მამულში მცხოვრებთათვის, რადგან ვერ მოხერხდა, ასე უცბათ, საპატიო სტუმრის შესაფერისი მიღება.

ახლა, 1999 წლის 28 ოქტომბრის გაზეთში "საქართველოს რესპუბლიკაში" წავიკითხეთ ბატონ ბოხდო მძინარაშვილის ცნობა ბატონ ასლან აბაშიძის მოგზაურობის შესახებ დასავლეთ ევროპაში, რამაც ჩვენში განცვიფრება გამოიწვია, რადგან აღნიშნული ცნობა ცდება "ცნობის" საზღვრებს და ირონიული კომენტარის შთაბეჭდილებას ქმნის, რის ნაწილობრივი ახსნა, ალბათ, 1999 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებით შეიძლება,

2.

მაგრამ ავტორის "ენამახვილობას" თავი დავანებოთ და ვილაპარაკოთ ფაქტები, როგორც ამას ავტორი აღწერს:

1.საფრანგეთის ელჩს საქართველოში - ქალბატონ მირეი მიუსოს - უარი უთქვამს ბატონ ასლან აბაშიძისა და მისი მხლებლებისთვის ვიზის მიცემაზე "ოფიციალური მიწვევით საფრანგეთში", საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

2.მაგრამ ტურისტული ვიზა მიუციათ.

3.ტურისტული ვიზით კი საფრანგეთის პრემიერმინისტრ ლიონელ ჟოსპანს არ მიუღია იგი.

4.ლევილის ქართული მამულის ვიზიტის შესახებ კი არაფერი არ იცოდა ქართული საკონსულოს ხელმძღვანელობამ საფრანგეთში.

5.ავტორისათვის ახლა გამხდარა ცნობილი, რომ ბატონი ასლან აბაშიძე 1993 წლის 13 მაისიდან 28 მაისამდე ლონდონში, ე.ი. ინგლისში ყოფილა სტუმრად, და ასე.

3.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთ: არჩევნების დროს საერთოდ და ისიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას, ზოგჯერ, სამწუხაროდ, ადგილი აქვს "გადაჭარბებულ გამოთქმებსაც".

4.

მიუხედავად ბატონ ასლან აბაშიძის სამართლიანი თუ უსამართლო კრიტიკისა, ერთი მთავარი და არსებითი დამსახურება მისი და მისი მომხრეებისა არასდეს არ უნდა დავივიწყოთ: მან და მისმა მომხრეებმა შეძლეს არ ჩავარდნილიყო ჩვენი აჭარა ჩვენი აფხაზეთის თუ ჩვენ შიდა ქართლის ბედში. ეს არის, ვიმეორებთ, დიდი, დიდი დამსახურება, თუმცა ეს ფაქტი ჩვენს კრიტიკის უფლებას, სამართლიანი კრიტიკის უფლებას არ გვიზღუდავს და ვერც უნდა გვიზღუდავდეს.

5.

ამდენად, პოლიტიკური მოღვაწის კრიტიკის დროს არ უნდა მივივიწყოთ არსებული მდგომარეობა, რომელშიც დღეს იმყოფება საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად. ჩვენის აზრით, ყველა მოქმედება "სწორია" თუ იგი 26 მაისის დიადი იდეიისაგან გამომდინარეობს, და ყოველი მოქმედება "მცდარია" თუ იგი 26 მაისის დიად იდეას, ე.ი. ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას ეწინააღმდეგება.

6.

და ვითომ საქართველოსა და ამით აჭარის რომელიმე ხელმძღვანელი 26 მაისის დიად იდეას არ ემსახურება?.. ვითომ ამგვარი ეჭვის გამოთქმაც შეურაცხყოფა არ არის დღევანდელი საქართველოს ყოველი დონის პოლიტიკურ ხელმძღვანელთათვის არიან ისინი ცენტრში, ე.ი. ჩვენს დედაქალაქში თბილისში თუ მის ერთერთ რეგიონში, ბათუმში?..

7.

რა თქმა უნდა, ორჯონიკიძე-მახარაძეების მიმდევრები, როგორც ეს ბატონ იური გიორგაძის მაგალითმა თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომელთა მიზანია საქართველო ისევ მოაქციოს რუსეთის ბატონობისქვეშ, — რეალურ საშიშროებას უქმნის საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას. მაგრამ ამ ფაქტმა ისე არ უნდა დაგვაბრმაოს, რომ ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩირქი მოვცხოთ, და ზოგიერთ მათგანის გაბრიაბრუებასაც კი შევეცადოთ?..

8.

ჩვენ კი, ლევილის ქართულ მამულში მცხოვრები ქართველობა, მოვწუხდით, რომ შესაფერისი პატივისცემით ვერ მივიღეთ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე, როგორც საქართველოს ერთერთი ხელმძღვანელი პიროვნება.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1999 წლის ოქტომბერი

26 მაისი უცხოეთში
==================

26 მაისს, ჩვენს დიდ ეროვნულ დღესასწაულს, უკვე მე-80 წელიწადია დიდი ეროვნული შთაგონებით აღნიშნავს უცხოეთში ქართველობა, განსაკუთრებით პარიზში, სადაც 1921 წლიდან, როცა დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო დაიპყრო რუსეთმა, თავი მოიყარა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, რის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობის სადგომი გახდა საფრანგეთი, პარიზი. და დღესაც გრძელდება ეს დიდი ტრადიცია, და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე და უკვე მესამე თაობა, ამ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს მოქალაქეებთან და ჩვენს საელჩოების წარმომადგენლებთან ერთად ვდღესასწაულობთ 26 მაისს პარიზში, ლონდონში, მიუნხენში, ნიუ-იორკში თუ ვაშინგტონში. პარიზში, მაგალითად, ქართულ წმინდა ნინოს ეკლესიაში ყოველწლიურად ტარდება წირვა-ლოცვა 26 მაისის, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად, რომელსაც შესაფერისი შთაგონებითა და ეროვნული შეგნებით ატარებს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარი დეკანოზი არჩილი, რასაც მრავალი ქართველობა და უცხო სტუმრები ესწრება.

ქართული სათვისტომო საფრანგეთში და საქართველოს საელჩო შესაფერისად აღნიშნავენ 26 მაისის დიად ეროვნულ დღესასწაულს, ხოლო ქართველი ვეტერანები გვირგვინს ასვენებენ უცხოში ჯარისკაცის აკლდამაზე, პარიზის გულში, ტრიუმფალური თაღის ცენტრში, ეტუალზე.

ლევილის ქართველობა, თავის მხრივ, მრავალ ქართველებთან ერთად, თავს იყრიან ხოლმე ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ საქართველოს დამსახურებული პირები თვით საქართველოს ეროვნული მთავრობის თავჯდომარეთა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ჩათვლით.

ამდენად, სიამაყის გრძნობას უბადებს ჩვენში ის ფაქტი, რომ 26 მაისი უკვე აღინიშნება არა მარტო უცხოეთის ქართველების მიერ, არამედ, რაც არსებითია, საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ ჩვენს დედაქალაქ თბილისში და საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში, რაც ჩვენში ამტკიცებს რწმენას, რომ ჩვენ გადავლახავთ იმ სიძნელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუფევს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში, რის წინაპირობაა ერთობა - მრავალფეროვნებაში, რაც - თავის მხრივ - დემოკრატიის საფუძველია საერთოდ.

მაშ, დიდება საქართველოს!..

დიდება ქართველ ხალხს!..

დიდება 26 მაის, ჩვენი ეროვნული თავისუფლების დღეს!..

- . - . - . - . - . -

## ნ ი ნ ო ო ბ ა   პ ა რ ი ზ შ ი

2000 წლის 14(27) იანვარს, პარიზში, ძველების სახლში ჩატარდა ნინოობა - "წმინდისა დედისა ჩვენისა და ქალწულისა ნინო მოციქულთასწორისა, ქართველთა განმანათლებელისა(335)", რომლის საფლავი სიღნაღის ბოდბის მონასტერშია, ხოლო ჯვარი ვაზისა მისი თმებით შეკრული, დაცულია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში.

პარიზის ძველების სახლში ნინოობის ჩატარება კი უკვე ტრადიციული მოვლენაა, რომელსაც მრავალი ქართველობა ესწრება, და ასე ჩატარდა მიმდინარე წელსაც, რომლის სულიერი მამაა პარიზის წმიდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარი დეკანოზი არჩილი. ნინოობის ჩატარების შემდეგ, ყოველმა მლოცველთა, შესაძლებლობის ფარგლებში, განსაზღვრული შეწირულება გაიღო ლევილის ქართული ძმათა სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის და ხელმოკლე ქართველთა დახმარებისათვის, რაც აგრეთვე უკვე ტრადიციაა ქართულ სამრევლოში.

## ნალი ლევილის ქართულ მამულში

მიმდინარე 2000 წლის აპრილში დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი ჰქონდა ქარიშხალს, რომლის დროს ძლიერმა ქარმა დააზიანა არა მარტო ნაგებობანი, არამედ ახლოვანი ხეებიც კი; და ამგვარი ძლიერი ქარიშხალის შედეგად დაზიანდა ლევილის ქართული მამულის შატოს სახურავი და ბაღი, რომლის დროს ქარმა არაერთი ხე ამოგლიჯა ძირიდან.

ამ ბუნებრივი უბედურების შედეგად, ქართული მამულის ადმინისტრაციამ - ერთი მხრივ - შეაგროვა შემოწირულებანი ქართული მამულის შატოს სახურავის აღსადგენად, რადგან შატოს დაზღვევის სახსრები საკმარისი არ აღმოჩნდა, და - მეორე მხრივ -- მოიწვია ქართველობა, განსაკუთრებით საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდობას ხელი გაიღონ ლევილის მამულის ბაღის აღსადგენად, რასაც მრავალი არა მარტო ქართული ახალგაზრდობა გამოეხმაურა; და 25 მარტს ასე მოიყარა თავი ნალმა, რომლებმაც თავიანთი ფიზიკური შრომით შეუდგნენ ქართველობის ამ ერთერთი ცენტრის - ლევილის მამულის - ბაღის გაწმენდა-გასუფთავებას, რაც, გასაგებია, მისასალმებელია.

ამგვარი საზოგადოებრივი შრომის შემდეგ კი გაშლილ იქნა ქართული სუფრა, როგორც ეს საუკუნოვანი წესია საქართველოში, რომლის დროს დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე თუ მესამე თაობის წარმომადგენელთა ეროვნული სულიკვეთებით გაჟღენთილი სიტყვები-სადღეგრძელოები.

ნალის მოხსენება, ლევილი, 25 მარტი, 2000 წელი

## უილიამ კორტნი: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა

აშშ-ს პრეზიდენტის - ბილ კლინტონის - თანაშემწემ, უილიამ კორტნიმ, - 1998 წლის 18 მაისს, ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ჰარიმანის ინსტიტუტში, სხვათა შორის, განაცხადა:

''საქართველო-რუსეთის ურთიერთობა რთულია, თუმცა მას აქვს უდიდესი პოზიტიური პოტენციალი.

''საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა და სასაზღვრო კონტროლის შემსუბუქება, რისკენაც ისწრაფვის საქართველო, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კარგი ურთიერთობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. რუსეთის მიერ აფხაზეთზე ზეწოლა, რათა ეს უკანასკნელი დათანხმდეს მოლაპარაკებაზე, მიგვაახლოებს იმ დღესთან, როდესაც რუსეთი სარგებელს მიიღებს საქართველოსთან, სომხეთთან და თურქეთთან პირდაპირი სატრანსპორტო მაგისტრალის ამოქმედებით. ასეთი ნაბიჯების გადადგმა დაეხმარება რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობისა და შერიგების ჩამოყალიბებაში. გვჯერა, რომ დემოკრატიული რუსეთი გააცნობიერებს ამგვარ შესაძლებლობებს და გამოიყენებს მათ.''

ნიუ-იორკი, 1998 წლის 18 მაისი

## "ტ ე ლ ე მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა"

კარლო ინასარიძემ, 2000 წელს, მიუნხენში(გერმანია) გამოსცა ნარკვევი "ტელემეცნიერება", რომლის "წინასიტყვაში" იგი, სხვათა შორის, წერს:

"მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა ომისაგან "სასწაულით" გადარჩენილი და ნივთიერად "გაძვალტყავებული"(ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), მაგრამ ახალგაზრდული ოპტიმიზმით გამსჭვალული, - მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიულ და ფილოსოფიურ ფაკულტეტებზე ვსწავლობდი, პროფესორ <u>ა რ ტ უ რ   კ უ ჩ ე რ ი ს</u> უშუალო არა მარტო მეთოდოლოგიური ზეგავლენით და მისი მოწაფის - გუნტერ გროლის - დისერტაციის,"ფილმი - აღმოუჩენელი ხელოვნების"(Gunter Groll:"Film - die unentdekte Kunst",Diss.,München 1937), - "წაბაძვით", - შევქმენი ნარკვევი ქართულ ენაზე -"ხელოვნების მეშვიდე სამყარო; ფილმის არსი, სტილი და კანონზომიერება"(1948-1952 წლები), რასაც მოჰყვა ნარკვევი გერმანულ ენაზე "რადიოპიესის დრამატურგია" ("Dramaturgie des Hörspiels")- ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს წამოწყება, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ჩემს უამრავ სხვადასხვა სახის ნაწერებში,"ტეტრალოგიის" სახეს მიიღებდა და ჩემი, ასე ვთქვათ, "მთავარი ნაშრომები" ("Les chef-d'oeuvres"= "Lebenswerk" = "life-work") გახდებოდა.

ამგვარად, ეს "ტელემეცნიერება" უკანასკნელია ოთხი ნარკვევის ციკლიდან:

1."რადიომეცნიერება", მიუნხენი, 1971 წელი(835 გვერდი);
(Rundfunkwissenschaft)

2."ფილმისმეცნიერება", მიუნხენი, 1975 წელი(704 გვერდი);
(Filmwissenschaft)

3."თეატრისმეცნიერება", მიუნხენი, 1995 წელი(1064 გვერდი);
(Theaterwissenschaft)

4."ტელემეცნიერება", მიუნხენი, 2000 წელი((1237 გვერდი).
(Fernsehwissenschat)."

დაიბეჭდა რა მცირე ტირაჟით და დარიგდა დაინტერესებულ პირებს შორის, ახლა სიტყვა რეცენზენტებს ეკუთვნის.

დ.მ.,მიუნხენი, 2000 წლის მაისი

## ჩ ა ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი

1.

"რა არის ადამიანი
თუ მისი მთავარი ფასოვანება და მეხანიშნავი ჟამი
სხვა არაფერია თუ არა ძილი და ჭამა? - ერთი პირუტყვი
მეტი არაფერი."

უილიამ შექსპირი(1564-1616)

"Wath is a man
Jf his chief good and markest of his time
Be but to sleep and feed? - a beast no more".

William Shakespeare(1564-1616)

2.

"მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური
აზროვნება თავისუფლებაში საძულველია!"

ფრიდრიხ ფონ შილერი(1759-1805)

"Sklaverei ist Niedrig, aber eine sklavische
Gesinnung in der Freiheit ist verächtlich!"

Friedrich von Schiller(1759-1805)

3.

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი შრომა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება, თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

4.

"სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

შოთა

5.

"Ja, diesem Sinne bin ich ganz ergeben,
Das ist der Wisheit letzter Schluß:
Nur der verdient sich Freiheit wie das Leben,
Der täglich sie erobern muß".

"Faust", II,5.Akt

"დიახ, ამ რწმენით მე სრულიად გაჟღენთილი ვარ,
ეს არის სიბრძნის უკანასკნელი დასკვნა:
მხოლოდ ის იმსახურებს როგორც თავისუფლებას ისე სიცოცხლეს,
ვინც მათ ყოველდღიურად იპყრობს!"

6.

"მესამედასელთა"(1893 წლის 7 თებერვალი) მრწამსი:"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც ღედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა."

კ.ი.,მიუნხენი, 2000 წლის 26 მაისი

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

## ნიკო ურუშაძის გარდაცვალება

აზონდანში, ლევილის ქართული მამულიდან დაახლოებით 70 კილომეტრით დაშორებულ ქართველ ხნიერთა სახლში, შატოში, 100-ი წლის ასაკში, გარდაიცვალა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე - ნიკო ურუშაძე, რომელიც დაკრძალულ იქნა 2000 წლის 18 იანვარს ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

ნიკო ურუშაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაგაცნობთ მის ერთერთ რადიოინტერვიუს, რომელიც მან მისცა რადიო "თავისუფლების" რეპორტიორს 1968 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავზე. აი, ამ ინტერვიუს შინაარსი:

### ინტერვიუ: ნიკო ურუშაძესთან

(ფირი)

ოთარ: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ლევილის ქართულ მამულიდან. პატივცემულო მსმენელებო, ეხლა ჩვენ გვსურს გაგაცნოთ აზრი ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა, რომელიც უკვე დიდისანია ცხოვრობს საფრანგეთში. ჩვენ ვესაუბრებით ბატონ ნიკო ურუშაძეს, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთერთ წარმომადგენელს უცხოეთში, რომელიც საქართველოდან 1926 წელს სპეციალურ დავალებით იქნა მოვლინებული; და მას შემდეგ ბატონი ნიკო ცხოვრობს საფრანგეთში, პარიზში და ეხლა ჩვენ ვართ ლევილის ქართულ მამულში.

ბატონო ნიკო, რას გვეტყოდით თქვენ თქვენი ცხოვრების შესახებ?

ნიკო: "ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფე. მე ვმსახურობდი ქართულ მეორე ქვეითა პოლკში, რომელსაც ოზურგეთისა და მისი მიდამოების ოსმალების მიერ აღებამდე მეთაურობდა აქ საფრანგეთში გარდაცვლილი, იშვიათი ქართველი, პატრიოტი და მხედარი, პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი. 26 მაისის წინა დღეებში კი მეთაურათ დაინიშნა ცნობილი რევოლუციონერი-პოლკოვნიკი ვიქტორ ინწკირველი. დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავი მე გავიგე ჩემს ათასეულში, სოფელ ზახეში. იქვე გადმომცეს, რომ ნასაკირალზე, სადაც მაშინ ქართულ-ოსმალოთა ფრონტი გადიოდა, უკვე მოსულიყვნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც, იმავე გადმოცემით, ჩვენს ჯარისკაცების წინ იდგნენ ოსმალოების პირისპირ. სიხარულთან ერთად ორივე ამბავმა გამაოცა: დაუჯერებლად მივიჩნიე ოსმალეთის მოკავშირის - გერმანელების - ჩვენს მხარეზე გამოჩენა. ავიღე ნებართვა და ნასაკირალზე წავედი და იქ ჩემი თვალით ვნახე წინა ხაზზე ერთი-მეორედან დაშორებული გერმანელი ჯარისკაცები. დავრწმუნდი იმაში, რომ ამიერიდან ოსმალოები ფიზიკურად ვერ დაგვარბევდნენ. და მეორეს მხრივ - იმედი მომეცა, თუ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც გერმანია იყო მაშინ, ჩვენ გვეხმარება, ჩვენს დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიობას კარგი პირი უჩანს. იქიდან დაბა ნაგომარში გადავეშვი. აქ ნახევარ გურიის მოსახლეობას მიტინგი გაემართა, სადაც ცნობილი ისიდორე რამიშვილი, რომელსაც გურიის ხალხი დიდი ნდობითა და სიყვარულით ეპყრობოდა, - უმარტავდა ამ მიტინგს გამოცხადებულ ისტორიულ აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობას და იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც დააჩქარა და ბოლოს იძულებული გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ჩემის რწმენით და ცნობით, ქართული მოწინავე საზოგადოება დიდისანია დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა და რევოლუციის პირველ დღეებში მას დღითიდღე მოელოდა; მასებისათვის ეს მოვლენა მაინც სრულიად მოულოდნელი იყო; და ის უდაოდ საჭიროებდა ამ მოვლენაზე სათანადო ახსნაგანმარტების მიღებას, რაც მძლავრმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოკლე დროში განახორციელა. ამ დაუვიწყარ მოვლენის 50 წლისთავზე, ჩემი -განცდა-და გონება ჩერდება ორ მოვლენაზე: პირველი - გასაოცარი და განსაცვიფრებელი იყო ის აღფრთოვანება და განსაკუთრებული ეროვნული-მოქალაქეობრივი დისციპლინა, რომლითაც თავის ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას შეხვდა ქართველი ერი. მეორე - ამ აღტკინებას, ამ მაღალ სულიერ განწყობილებას ხელს უწყობდა ჩვენთვის ის ბედნიერი გარემოება, რომელიც გამოიხატებოდა მძლავრ გერმანიის ჩვენს დას არებაში, ურომლისოდ ქართულ სახელმწიფოებრიობის მომავალი ჩვენს მაშინდელ ტრაგიკულ მდგომარეობაში, უეჭველად საეჭვოთ გახდებოდა. კეთილმობინტრალიციების მჯინე, მადლიერ ქართველმა ერმა გერმანიის ხალხს ეს დიდი სამსახური არასდროს არ უნდა დაუვიწყოს.

ჟურნ: "ბატონო ნიკო! ახლა ხომ არ მოგვითხრობდით მოკლედ, თქვენი პარტიის, ე.ი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებასა და განხორციელებაში?

ნიკო: "ცნობილია, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ფაქტიურად არსებობდა მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია ამ სიტყვის თანამედროვე და დემოკრატიული გაგებით. ესე-იგი ისინი რეგულარულად საქართველოში ყრილობებს, მართავდნენ კონფერენციებს, სადაც ამუშავებდნენ პოლიტიკურ პროგრამას და სამოქმედო ტაქტიკას. აგრეთვე ირჩევდნენ სახელმძღვანელო ორგანოებს. ქართველი სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ რუსეთის მუშათა პარტიის კავკასიურ გაერთიანებაში. ნოე ჟორდანია მეთაურობდა არა მარტო ქართველ სოციალ-დემოკრატებს, არამედ კავკასიელებსაც. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია კი წარმოადგენდა სპეციფიურ ქართულ პარტიას. არავისათვის არ არის საიდუმლო ის, რომ ამ პარტიამ ქართულ ეროვნულ თვითშეგნების პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში შესამჩნევი, დადებითი როლი ითამაშა. ათეულ წლების განმავლობაში არჩილ ჯორჯაძესა და ნოე ჟორდანიას შორის წარმოებდა ეროვნულ საკითხის გარშემო განუწყვეტელი იდეური, ხშირად მწვავე, პოლიტიკური პოლემიკა, რაც მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ძირითადი და გადამწყვეტი პრობლემა იყო. ამ პოლემიკამ, რომლისადმი მაშინდელი საზოგადო-

ებრაობა უდიდეს ინტერეს იჩენდა, – დიდი როლი ითამაშა ქართველ თაობათა ეროვნულ თვითშეგნების განმტკიცების საქმეში. ისტორიულ სიმართლეს მოკლებული იქნება იმის მტკიცება, რომ ამ ორ პარტიიდან რომელიმე იმთავითვე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას წამოეყენებინათ. ეს მათ რომ მოესურვათ, მისი აშკარად ქადაგება წარმოუდგენელი იყო, რადგან ამას, უეჭველად, რუსეთიდან დარბევა მოყვებოდა. კავკასიის რთულ პოლიტიკურ პირობებში, სადაც ადგილზე რუსეთის თვითმპყრობელ ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად შექმნილი ეროვნული დაპირისპირებანი არსებობდა. რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფილიალის კავკასიური გაერთიანების ტაქტიკა მეტად რთული იყო, ვიდრე წმინდა ქართული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა. იმ გარემოებამ, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის კავკასიურ გაერთიანებაში რიცხვობრივად და პოლიტიკურად ქართველობა სჭარბობდა, მეტად დადებითი როლი ითამაშა ჯერ რევოლუციური კანონიერების დამყარებაში და შემდეგ – თვით ქართულ სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში. მიუდგომლობა მოითხოვს აღინიშნოს ის, რომ ეს ეროვნული პოლიტიკური პარტია მუშაობდა თავისი ხაზით, განსხვავებული გზებით იმისათვის, რომ ქართველ ერისათვის შეექმნა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის შესაფერისი პირობები. იგივე სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ – ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავზე, რომ იყვნენ პოლიტიკური პიროვნებანი, როგორიც იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი და სხვები, რომლებიც თავისი პირადი პასუხისმგებლობით უცხოეთში ქადაგებდნენ და იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ოფიციალურად დამოუკიდებლობის იდეა არ წამოუყენებია, ზემოთაღნიშნულ მოსაზრებების გამო. მაგრამ ის, ჩვენი პარტია, როგორც რუსეთის ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლების მიერ, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრით, – მონათლული იყო სეპარატისტების პარტიად. ეს იყო ჩვენი ყოველდღიური, ყოველწამის, მაგრამ იდუმალი ზრუნვის საგანი.

**თამარ:** "ბატონო ნიკო, კიდევ ერთი შეკითხვა: როგორ შეაფასებდით თქვენ ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას როლს და პიროვნებას 26 მაისის საქმეში?

**ნიკო:** "მანამ ნოე ჟორდანიას როლს და პიროვნებას შევეხებოდე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მე საჭიროდ მიმაჩნია დღევანდელ დღეს ნოე რამიშვილის პიროვნებაზე შევჩერდე. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნულ მთავრობის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. ეს გარემოება სრულიად არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ორი თვის განმავლობაში ნოე რამიშვილმა შესამჩნევად უხელმძღვანელა ახალ სახელმწიფოს საქმეს, მისი ნოე ჟორდანიის მთავრობის შეცვლა არ მომხდარა ეროვნულ საბჭოში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ფრაქციის მოთხოვნით. პირიქით, ისინი, როგორც უცხოეთი მეთვალყურენი, ნოე რამიშვილის სახელმწიფოებრივ უნარიანობას და ორგანიზაციულ ნიჭს ყოველთვის

ქებით იხსენიებდენ. ეს ცვლილება მოხდა თვით ქართული სოციალდემო-
კრატიული პარტიის თაოსნობით. თავის "მოგონებათა " წიგნში თვით
ნოე ჟორდანია ამ პერიოდზე ვრცლად ლაპარაკობს. მაგრამ,ჩემის გა-
გებით,ვერ იძლევა სავსებით ნათელსა და დამაკმაყოფილებელ განმარ-
ტებას. რუსეთის დიდი პარტიის კავკასიურ სოციალდემოკრატიულ გაე-
რთიანებაში,ბუნებრივია, არსებობდა მრავალი პოლიტიკური მიმარ-
თულება,სხვადასხვაობანი როგორც მთელი რუსეთის პრობლემებზე,ისე
ადგილობრივ კავკასიურ თუ ქართულ საკითხების გარშემო; განსაკუთრე
ბით კი სწორედ ქართულ ეროვნულ პრობლემის შესახებ.ნოე რამიშვილ-
მა,დიდხან მისი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისა, და განსაკუთრე-
ბით,როცა ის კავკასიურ სოციალდემოკრატთა ერთერთი მეთაური გახდა,
კავკასიურ და არსებულ თუ მომავალ ქართულ-რუსულ ურთიერთობის
საკითხებში თავის სხვებისაგან განსხვავებული,ისეთი გარკვეული
პოზიცია,რომელიც,დროთა ვითარებაში, ლოგიკურად უნდა დასრულებუ-
ლიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.დამოუკიდებლო-
ბის გამოცხადებამდე ჩვენში არსებობდა ე.წ."რევოლუციონური კანო-
ნიერება",რომელსაც გამოხატავდა სრულიად საქართველოს მუშათა
და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო,რომლის სათავეში ნოე ჟორდანია
იყო. მიუხედავად ახალ სახელმწიფოს გამოცხადებისა, ეს უკვე დრომ
გადასული რეჟიმი მაინც გრძელდებოდა,რაც ახალ სახელმწიფოს ძირი-
[illegible]დ საძირკვლებისათვის ქმნიდა მიუღებელ მდგომარეობას,რომელსაც,
რაც შეიძლება, ადრე ბოლო უნდა მოღებოდა. და ეს შესაძლებელი
იქნებოდა თუ მთავრობის სათავეში მოექცეოდა ყველასათვის უდაოთ
ავტორიტეტით აღჭურვილი პიროვნება,როგორიც იყო მაშინ ნოე ჟორდა-
ნია. ამ დღიდან ნოე ჟორდანიას სახელი ჩვენი თავისუფლების,ეროვ-
ნულ დამოუკიდებლობის სიმბოლოა.

ოთარ:" კიდევ ერთი,უკანასკნელი შეკითხვა გვაქვს თქვენთან: რას
უსურვებდით თქვენ დღეს ქართველ ერს და განსაკუთრებით, ქართველ
ახალგაზრდობას სამშობლოში,საქართველოში?

ნიკო:"თანამედროვე ჟამთა განვითარებულ ტექნოლოგიურ და ინდუსტრი-
ალიზაციის ხანაში, მე ვუსურვებდი ქართველ ახალგაზრდობას დაეუფ-
ლებოდნენ - ერთის მხრივ - თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს გან-
მტკიცებისათვის მიუცილებელ მაღალ ტექნიკას და - მეორეს მხრივ -
შეესწავლად ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ამ საუკუნის ჩვენი ეროვ-
ნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი,სწორი ისტორია,
რათა შესძლონ ცრუ-ყალბი მეცნიერულ საბჭოთა ფალსიფიკაციის უარ-
ყოფა. ისტორიულ ეპიზოდს შორის არასოდეს არ არსებობს სრული იგივე-
ობა; არსებობს მხოლოდ მსგავსებანი. ამ მხრივ ჩვენი დღევანდელი
ხანა მეტად მიაგავს ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებს. ამ დიდ
ძვრების და მოვლენების მოლოდინში უსურვებ ქართველ ერს მზად ყო-
ფილიყოს და თავის ავლადებით, მხნეობით,მაღალ პოლიტიკურ შეგნე-
ბით, პოლიტიკურ-ეროვნული მთლიანობით,როგორც ეს ქნეს წინა თაო-
ბებმა, ამ მოსალოდნელ ქარტეხილში ქართველი ერი ფიზიკურად გადაარ-
ჩინოს და ის თავისუფალ,დამოუკიდებელ ერთა საერთაშორისო ოჯახში
შეიყვანოს.

ოთარ:"დიდათ გმადლობთ,ბატონო ნიკო.

## ექიმ აკაკი რამიშვილის გარდაცვალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი აკაკი რამიშვილი დაიბადა 1916 წლის 9 იანვარს საქართველოში და გარდაიცვალა 1999 წლის 29 დეკემბერს პარიზში, და დაკრძალულ იქნა ლაბა ლევილის ქართუ ძმათა სასაფლაოზე-ლევილში.

ექიმ აკაკი რამიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაგაცნობთ მის "უკანასკნელ ინტერვიუს", რომელშიც აკაკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ძეილი, "თავისებურ" შეხედულებებს გვაწვდის ძამმისხა და საქართველოს იმ ხანის მოვლენების შესახებ.

ეს "უკასახკნელი ინტერვიუ" ჩაიწერა და გამოაქვეყნა ბატონმა ალექსანდრე შემგელიამ გაზეთ "სარკმელი საქართველოსის" 2000 წლის თებერვლის ნომერში. გაზეთი "სარკმელი საქართველოსი" გამოდის ქუთაისში, რომლის გამომცემელი და რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე შენგელია.

აი, ამ "უკანასკნელი ინტერვიუს" სრული შინაარსი:

# უკანასკნელი ინტერვიუ

საფრანგეთიდან დეკემბრის ბოლოს ფრიად სამწუხარო ამბავი მოვიდა—გარდაიცვალა დიდი ქართველი პოლიტიკოსის, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერის, სულგანათლებულ ნოე რამიშვილის შვილი—თავადაც თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ბატონი აკაკი რამიშვილი.

გთავაზობთ მასთან საუბარს, რომელიც ლევილში, ქართველთა მამულში 4 წლის წინათ, მაისის ბოლო რიცხვებში ჩავიწერე.

ლევილის ქართულ მამულში ბატონმა აკაკი რამიშვილმა სტუმრებს ისე ამომწურავად გვიამბო საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დეტალზე, რომ საკითხავი ფაქტობრივად თითქოს არაფერი რჩებოდა და მაინც მისკენ ძალაუნებურად მიზიდავდა კითხვა, რომელიც დიდი ხანია მაწუხებდა.

—მოგესალმებით ჟურნალისტი ალექსანდრე შენგელია. ბედნიერი ვარ, რომ ლეგენდარულ ნოე რამიშვილის შვილთან შეხვედრის საშუალება მომეცა.

—გმადლობთ [illegible]

—დღეს, ჩვენი სტუმრობით ნამდვილად გადაგღალეთ, მაგრამ თუ თქვენთვის საძნელო და უხერხული არ იქნება, ეგებ ერთ კითხვაზე მიპასუხოთ.

—დიახ, გისმენთ.

—საყოველთაოდ ცნობილია, რა დონის მოღვაწე იყო ბატონი ნოე—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. ამ პოსტიდან ნაჩქარევად გადადგომის შემდგომაც იგი ბოლომდე ერთგულად იდგა ქვეყნის სახელისუფლებო მმართველობის პულტთან და იმ დროიდანაც კი, როცა იძულებული გახდა ემიგრანტი გამხდარიყო, მისი სახელი ძალიან ბევრს უფრთხობდა ძილს.

—დიახ, სწორი ბრძანდებით. 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში, იტალიის მოედანზე დაქირავებულმა მკვლელმა, რომელიც სამწუხაროდ ქართველი იყო, რევოლვერის ტყვიით ამიტომ მოუსწრაფა სიცოცხლე.

—მე წაკითხული მაქვს, ბატონო აკაკი, ნოე ჟორდანიას გამონათქვამები მამათქვენზე. ბატონი ნოე ბრძანებდა, რომ „ქართველმა ერმა პირველად ნოე რამიშვილს მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა. როცა დედამიწის ერთ მეექვსედზე ანარქია ბობოქრობდა, როცა კავკასია ცეცხლის ალში გახვია, მხოლოდ საქართველოში სუფევდა სიწყნარე. ნოე რამიშვილი იყო, რომ მეთაურობდა ყოველი მხრიდან შემოსეულ ბრბოთა წინააღმდეგ ბრძოლას— ის მოკვდა პოსტზე, თავაწეული და წმინდა დროშით საქმე მავალი—"

ეს დიდებული სიტყვებია. ამასთან თავად საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი ჩვენთვის უწმინდესია. მაგრამ იმ იმიჯმა, რომელიც შეიქმნა აკაკისა და ილიასთან მისი დაპირისპირებულობის გამო და თუნდაც იმან, რომ უკანასკნელ მომენტში გახდა თანახმა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო, ხომ არ განაპირობა ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელმაც დააჩქარა რუსეთის შემოსვლა საქართველოში?

—რასაკვირველია, ეს აშკარაა. ჩემთვის, როგორც ნოე რამიშვილის შვილისათვის რამდენადმე უხერხულია ამ თემაზე საუბარი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ასეა.

ქართველ „მენშევიკთა" შორის იყო ორი ბანაკი. მათ არ უნდოდათ ამის აღიარება, მაგრამ ეს ასე იყო. ყველგან, ყველა პარტიაში ასე იყო. ყველას ჰყავდა მემარჯვენე და მემარცხენე ძალები. ვლაპარაკობ თვითონ ამ პარტიაზე. საქართველოშიც ასე იყო. იყვნენ მემარჯვენე მიდრეკილების მენშევიკები. ესენი იყვნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, აკაკი შენგელი, ნოე ხომერიკი და სხვები. იყვნენ მემარცხენე მიდრეკილებისანიც. ისინი პარტიაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მათ ტვინი ამოულო ნოე ჟორდანიამ და ისინი იყვნენ მისი მიმდევრები.

ნოე ჟორდანია ყველაზე მემარცხენე „მენშევიკი" იყო. ვინმე თუ ყოფილა მემარცხენე, მასზე მეტად არავინ ყოფილა.

—ეტყობა, ამიტომ ჰქონდა არც თუ ცუდი ურთიერთობა ლენინთან და არამტრული დამოკიდებულება სტალინთან.

—რასაკვირველია. ჰოდა, მას ჰქონდა ერთი მიზანი—მენშევიკების, ბოლშევიკებისა და სოციალ-რევოლუციონერების საერთო ფრონტის შექმნა.

—უდიდესი მადლობა. ამ საკითხში თქვენი პოზიცია სავსებით გასაგებია, ბატონო აკაკი.

რაზეც ახლა მინდა გესაუბროთ, ეს კითხვა არ არის, მინდა ერთი რამ შეგახსენოთ.

ჩვენ დელეგაციასთან საუბრისას თქვენ დიმიტრი, იგივე არძაყან ემუხვარი ახსენეთ.

ცოცხლად დარჩენილი მისი ერთადერთი ვაჟი—ბატონი გივი ჩემი მეგობარია. იგი მას შემდეგ დამიახლოვდა, როცა დევნილსა და უსამართლოდ დაჩაგრულს გვერდით დავუდექი.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სულგანათლებული მამათქვენი ბატონი არძაყანის უახლოესი მეგობარი იყო. ხომ არაფერს დამაბარებდით ძირძველი აფხაზის, დიდი ქართველი პატრიოტის დიმიტრი ემუხვარის შვილთან.

—მე მას ვუსურვებ, რადგან ემუხვარია, ბოლომდე ემუხვარად დარჩეს და არასდროს გადაუხვიოს არძაყან ემუხვარის ხაზს.

ნეტავი ამ ხაზს გაჰყვებოდეს ყველა მისი ნათესავი და ახლობელი.

აფხაზები, საერთოდ, მთელი აფხაზეთი უნდა დაფიქრდეს ამაზე. ჩვენ მათი მტრები არა ვართ. ჩვენ ერთნი ვართ. ავტონომია შეუძლიათ, მაგრამ ის რალაცეები, რაც მათ ჩაადენინეს, ეს დაუშვებელია.

მათ უნდა დაივიწყონ მტრობა და ხელახლა შემოვიდნენ საქართველოს ერთიანობაში.

**—ულრმესი მადლობა. აუცილებლად გადავცემ თქვენს დანაბარებს, მხოლოდ, თქვენის ნებართვით, ერთს ვიტყოდი: ის, რაც მოხდა აფხაზეთში, ეს არ იყო აფხაზთა და ქართველთა ომი.**

—მართალია.

**—ეს იყო რუსეთისათვის ჩვეული პროვოკაცია, მისი აგენტურის ნამუშევარი, თორემ აფხაზი და ქართველი რამ გაჰყო ერთმანეთისაგან?**

—მართალი ხართ. ამას არძაყან ემუხვარის ცხოვრებაც ადასტურებს.

**—მისი შვილისაც, ბატონო აკაკი. იგი, როგორც უამრავი სხვა აფხაზი, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტია.**

—მაშ, გადაეცით ბატონ გივის და ყველა მისებრ პატრიოტს ჩვენი ყველაზე საუკეთესო სურვილები.

**—მადლობის თქმისა და გამომშვიდობების წინ ერთი კითხვა კიდევ უნდა დაგისვათ, ბატონო აკაკი. გვაინტერესებს თქვენი ოჯახური მდგომარეობა. რამდენი შვილი გყავთ?**



—სამწუხაროდ, არამყავს. არც მე მყავს და არც ჩემს დას, ასე რომ ჩვენს შემდგომ ნოე რამიშვილის შთამომავლობა გაქრება.

**—რამიშვილის გვარი არასდროს გაქრება, ბატონო აკაკი. ამ გვარის ბევრ სახელოვან წარმომადგენელს ვიცნობ და ვამაყობ მათი კაი რამიშვილობით.**

**საქართველოში რომ დავბრუნდები, აუცილებლად მოვინახულებ თქვენს მოგვარეებს, მამაჩემის დიდ მეგობარს, ბატონ ჟორა რამიშვილსაც, რომელიც დიდი ხანია ოცნებობდა თქვენთან შეხვედრას. ვიცი, რომ გაიხარებს, როცა შეიტყობს, რომ მისი თანატოლი მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. სხვათა შორის ცნობილი ინჟინერი და პატიოსნებით გამორჩეული კაცია.**

—დიდი მადლობა გადაეცით ბატონ გიორგის, რომ უფრთხილდება ჩვენი გვარის ღირსებას.

●●●

**სამწუხაროდ, ბატონი აკაკის ეს ინტერვიუ, რომელიც დიქტოფონზე მქონდა ჩაწერილი, მის სახელოვან სახლიკაცს ველარ მოვასმენინე. საფრანგეთიდან ჩემი დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ შემატყობინეს, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა.**

ა.შ.

## ერი და რელიგია

**1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შეპართებით განაცხადა: – „მართლმცა ხვალეს ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად აქვს ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!"**

**მემედ აბაშიძე, 1905 წელი.**

**„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"**

**მემედ აბაშიძე, 1921 წელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგო

მსოფლიოში სკანდალურად გახმაურებულმა
„თხილის ისტორიამ" დღევანდელი რეალობიდან
გამომდინარე არგო ჰოლდინგი
დაარწმუნა, რომ საკუთარი ღირსებისა და
ბიზნესის კორპორაციული ინტერესების
დასაცავად, საჭიროა ჰქონოდა, პრინციპული
და სამართლიანი საკუთარი გაზეთის
პერიოდული გამოცემა, რომელიც მხოლოდ
ფაქტებზე დაყრდნობით პირუთვნელად
მოუთხრობს საზოგადოებას ქვეყანაში
მიმდინარე პროცესების შესახებ.
ამ მიზნით შესაბამისად ჰოლდინგმა დააფუძნა

ყოველკვირეული
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## არგო

ARGO HOLDINGS

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## არგო

გაზეთი „არგო"
გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე!
გაზეთი „არგო"
ვრცელდება არა მარტო საქართველოში,
არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში,
საფრანგეთსა და გერმანიაში!
გაზეთი „არგო"
უცხოეთში გაფანტულ ასობით ათას ქართველს
ქართულ ენაზე მიაწვდის მათთვის საჭირო ინფორმაციას
მათ ქვეყანაზე!
გაზეთი „არგო"-ს
აკრედიტებული კორესპონდენტები თქვენ მოგაწვდიან
ინფორმაციას ვაშინგტონიდან, ნიუ-იორკიდან, ლონდონი-
დან, პარიზიდან, ბერლინიდან და მოსკოვიდან!
გაზეთი „არგო"
გააშუქებს კვირის მნიშვნელოვან, პოლიტიკურ-საზოგა-
დოებრივ და კულტურულ მოვლენებს, არა მარტო
საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით!
გაზეთი „არგო"
ექსკლუზიური ინტერვიუებით თქვენ შეიტყობთ თუ რას
ფიქრობენ მსოფლიოში გამოჩენილი ადამიანები!
გაზეთი „არგო"
ექსკლუზიურად გააშუქებს მსოფლიოში გახმაურებულ
თხილის სკანდალის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა
გამოძიების მსვლელობის მასალებს!
გაზეთი „არგო"
გახდება თქვენი ერთგული, უტყუარი და
სანდო თანამგზავრი შიდა და საერთაშორისო პოლიტი-
[illegible] ფორუმებში, საზოგადოებრივი ცხოვრების
სიახლეებსა და კულტურული მოვლენების კულისებში!

გაზეთ „არგოს" სარედაქციო კოლეგია

თბილისში: (99-533) 25-09-59, ბათუმში: (99-5222) 8-50-01

"ს.ს"-26.10.1999 წ.

### ბ ა ლ ა ნ ს ი

"მებრძოლი საქართველოს" 2000 წლის 26 მაისის ნომრის ხარჯები:
ბეჭდვა, გამრავლება, დაგზავნა და სხვა.......................4 307 ფრანკი;
შემოწირულება ბატონ ექვთიმე ენდელაძისა 150 მარკა,ე.ი.... 489 ფრანკი;
შემოწირულება კარლო იხასარიძისა...........................3 818 ფრანკი.

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE"

26 მაისი 2000 წელი - 27(45) - 26 Mai 2000

ერთობა მრავალფეროვნებაში

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."
„მესამე დასი", *1893* წელი.

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952, Paris
[illegible]

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orge
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

ი15/265 2024

JK 833 E
1998-2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-769